ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 სექტემბერი, 2020 №188 (8452) ფასი: 60 თეთრი

## „ხელისუფლებამ პროვოკაციები დაიწყო“

გვ.3



ლევან სამუშია: „ვის შეუძლია, წაახალისოს ძალადობა ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით?! ეს ხომ ამ ხელისუფლების საფირმო ნიშანია“

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩემი თავდაცვისმინისტრობა არარეალურია. საკუთარ თავს პარლამენტში ვხედავ“



„სააკაშვილის ფაქტორმა დაჭაობებულ პროცესში, შესაძლოა, სიცოცხლე შემოიტანოს... მთავარი საფრთხე ივანიშვილია“

„უადგილოა მოუნადირებელი დათვის ტყავის გაყოფა და გულზე მჯიღის ცემა, ან მე ვიქნები პრემიერი, ან დამთავრდა საკითხიო“ გვ.2

## „ნაცმოძრაობას ფული სჭირდება, ამიტომ ოქრიაშვილ-ჩოჩელის მილიონებზე უარი არ თქვა“



თორნიკე შარაშენიძე: „ლელოს აქტივისტები“ რა საფრთხეს უქმნიან მთავრობას? მეღიმება ამაზე“ გვ.4

## სოსო ცინცაძე: „სად უფრო აწყობს „ოცნებას“ სააკაშვილი, ციხეში თუ საზღვარგარეთ?!“

გვ.4





## გიორგი გუგავა: „პირდაპირ ივანიშვილთან, კალაძესთან და ჩხარტიშვილთან დადონ კონტრაქტი“

გვ.2

„ჩოჩელს წინასწარ ჰქონდა „დათრეული“ მიწები და მერე წეროვანში დევნილები რომ ჩაასახლეს, სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი მიითვისა“



გვ.3

## გიგლა ბარამიძე: „ველარ გაიგო ამ ხალხმა, რომ სააკაშვილი აღარავის უნდა?!“

ISSN 1987-9385

5 47 წლის ვანო ხანჯალიაშვილი რუისპირში ტაქსში ჩაცხრილეს

5 „ანი გაბეჩავა 15.000-ს გვთხოვდა“ რაზე ლაპარაკობენ შაქარაშვილის საქმეში ბრალდებულები

6 სერბეთი და კოსოვო ურთიერთობის ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ

5 ლაგოდეხის ნაკრძალში ლატვიელი ტურისტი გააუპატიურეს დააკავეს 30 წლის მამაკაცი

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩემი თავდაცვისმინისტრობა არარეალურია. საკუთარ თავს პარლამენტში ვხედავ“

## „სააკაშვილის ფაქტორმა დაჭაობებულ პროცესში, შესაძლოა, სიცოცხლე შემოიტანოს... მთავარი საფრთხე ივანიშვილია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რამდენად ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს ოპოზიციაში? რას სთავაზობს ამომრჩეველს? რას ფიქრობს სააკაშვილის ფაქტორზე? რატომ არ საუბრობს ოპოზიცია ჩრდილოვან კაბინეტზე და რატომ არის ნაადრევი პრემიერზე საუბარი? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ვრცელ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობს.**

***– როგორ მიმდინარეობს თქვენი საარჩევნო კამპანია, რამდენად ჯანსაღად მიგაჩნიათ ოპოზიციაში პროცესები და გეგმავთ თუ არა, რომ თქვენი პარტიიდან კიდევ რამდენიმე ოლქში დაასახელოთ მაჟორიტარობის კანდიდატები?***

– კამპანია რაიმე განსაკუთრებული ნიშანთვისებით არ გამოირჩევა, ჩვეულებრივად მიდის. მარტო საბურთალოზე არა, ბევრგან მიწევს სიარული და მოსახლეობასთან შეხვედრები, როგორც თბილისის სხვა უბნებში, ასევე რეგიონებშიც.

ოპოზიციას რაც შეეხება, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ვინმეს ეგონოს, რომ რაღაც გარკვეული არასასიამოვნო პროცესები ვითარდება. ეს ასე არ არის. ჩვეულებრივი პროცესია, რაღაცაზე ვთანხმდებით, რაღაცაზე ვერ ვთანხმდებით. მთავარია, ყველა ერთად ვაცნობიერებთ იმას, რომ ქვეყნის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ივანიშვილი და მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება უნდა მოხდეს მშვიდად, ყოველგვარი ექსცესებისა და რყევების გარეშე. უნდა მოხდეს მისი ოპოზიციაში გადაბარგება, რაც ასევე ჯანსაღი პროცესი იქნება.

რაც შეეხება დანარჩენ ოლქებს, მომდევნო კვირაში რამდენიმე ოლქში ზოგადი შეთანხმებით ვგეგმავთ კანდიდატის დასახელებას.

***– ანუ რამდენიმე ოპოზიციური პარტია მხარს დაგიჭერთ?***

– დიდი ალბათობით. ამას ვცდილობთ და ალბათ მივაღწევთ.

***– მათ შორის გურამ ჩალაგაშვილის დასახელებასაც უნდა ველოდოთ?***

– მოვლენებს არ მინდა გავუსწრო. მომდევნო კვირაში ცალსახა და ნათელი სურათი გვექნება.

***– ოპოზიციას ივანიშვილის დამარცხების თვალსაზრისით ბრძოლა გაქვთ გამოცხადებული ოლიგარქიის წინააღმდეგ. თქვენთვის მისაღები იყო რამდენიმე დღის წინ ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება კოალიციაში „ძალა ერთობაშია“ ოქრიაშვილის, ჩოჩელისა და სხვების შეერთების თაობაზე?***



**„უადგილოა მოუნადირებელი დათვის ტყავის გაყოფა და გულზე მჯიღის ცემა, ან მე ვიქნები პრემიერი, ან დამთავრდა საკითხიო“**

– სხვა პარტიების შიდა სამზარეულო ჩემი საქმე არ არის. ეს არის მათი გემოვნების საკითხი, ოქრიაშვილს დაუჭერენ მხარს თუ მე არ დამიჭერენ მხარს საბურთალოზე. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ამასთან მიმართებით მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც თვეების განმავლობაში აპროტესტებდნენ ჩაგდებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ალბათ გაბრაზებული და ნაწყენია. სრულიად ვიზიარებ მათ პათოსს.

***– თქვენ არ ხართ ნაწყენი, რომელმაც ამის გამო ციხეში გაატარეთ რამდენიმე თვე?***

– ჩემი საქმე არ არის, ოქრიაშვილი სად იქნება, მაგრამ ყველა პარტია უნდა აცნობიერებდეს, რომ ასეთი პერსონები დღეს ერთგან არიან, ხვალ მეორეგან გადახტებიან. ასე რომ, წინასწარ ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს, დანარჩენი მათი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებისა და გემოვნების საკითხია.

***– არ ხართ ადამიანურად ნაწყენი, რომ ციხეში იჯექით ამის გამო და ისინი მაინც პირადი ამბიციებისა თუ სხვა მიზეზის გამო ასე იქცევიან? თუნდაც ის, რომ საბურთალოზე არ დაგიჭირეს მხარი. მაშინ, როდესაც თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებზე მათ კანდიდატს მხარი დაუჭირეთ ძველი წყენების მიუხედავად?***

– ზოგადად პოლიტიკა წყენებით არ იმართება. ეს გულუბრყვილობად მეჩვენება. ცივი გონებით უნდა განსაჯო ყველაფერი. რაც შეეხება საბურთალოს, არსებობს მაქსიმალური მხარდაჭერა და არსებობს მინიმალური. ის, რომ მათ კანდიდატი არ დამიყენეს, არის მინიმალური მხარდაჭერა, რაც სრულიად საკმარისი და დამაკმაყოფილებელია ჩემთვის და ეს არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის.

***– სააკაშვილმა მოიხადა ბოდიში ამომრჩევლის წინაშე. თქვენც ხომ არ იყავით ერთ-ერთი ადრესატი, რომელსაც ბოდიში მოუხადა? მან დააანონსა, რომ იტყვის ჩამოსვლის თაობაზე გეგმას. როგორ უყურებთ ამ პროცესებს?***

– ზოგადად, თუ ადამიანი შეცდომას უშვებს და ამის გამო ბოდიშს იხდის, ცუდი არ არის. რა ეტაპზეც არ უნდა გადადგა ეს ნაბიჯი, ღირსეული საქციელია. ამ შემთხვევაში მარტო სააკაშვილს არ ვგულისხმობ, ჩემს თავსაც ვგულისხმობ. მის ჩამოსვლას რაც შეეხება, ვნახოთ. როგორც თქვენ, ისე მე, შესაძლოა, მოლოდინით ვუყურებდით, რას იტყოდა ამასთან დაკავშირებით.

***– ეს ოპოზიციაში პროცესებს ხომ არ აზიანებს?***

– არა მგონია. შეიძლება, ამან, პირიქით, სიცოცხლე შემოიტანოს დაჭაობებულ პროცესში.

***– რის იმედი გაქვთ საბურთალოზე, რა ტიპის მხარდაჭერას ელოდებით და როგორ კამპანიას აწარმოებთ მხარდაჭერის მოსაპოვებლად?***

– ყველანაირს, ისეთს, რაც წელან ჩამოვთვალე და ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. ვის შეუძლია ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა, ვის რა გამოცდილება გააჩნია იმისთვის, რომ ამ ჭაობიდან ამოვიდეთ, ვის რა რეფორმები აქვს გატარებული, რა სჭირდება ქვეყანას. გაზრდილი კრიმინალი და კორუფციაა, არაქმედებაუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტებია, რომლებიც ერთი ადამიანის ნება-სურვილს ემორჩილებიან, შეინიშნება ელიტური კორუფციის აშკარა ნიშნები და არა მხოლოდ ელიტური, შუა რგოლშიც არის.

***– თქვენ რას სთავაზობთ ამომრჩეველს?***

– ზუსტად მაგას ვთვლი, ვის შეუძლია ამ პრობლემების გადაჭრა და, ბუნებრივია, ეს საკითხი მათი გადასაწყვეტია. მე რომ დაგიწყოთ იმაზე საუბარი, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტია უმრავლესობით მოდის ხელისუფლებაში და ამას ერთი ხელის მოსმით გადავჭრით, იქნება ტყუილი. ჩვენ არ გვაქვს საკმარისი რესურსი და არ გვექნება ასეთი მხარდაჭერა, რომ ამ მანდატით მოვიდეთ, მაგრამ კოალიციურ მმართველობაშია ამის გასაღები. ვისაც აქვს ამ ტიპის გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობები, ერთად დავსხდებით და გადავწყვეტთ. ეს შეიძლება იყოს საპარლამენტო თანამშრომლობის ფორმატი და ეს შეიძლება იყოს კოალიციური მთავრობის.

***– თქვენი თავი სად წარმოგიდგენიათ?***

– პარლამენტში, რისთვისაც ვიბრძვი, ამ შემთხვევაში საბურთალოელების გულის მოსაგებად და მანდატის მოსაპოვებლად.

***– ისევ ხომ არ უნდა ველოდოთ ირაკლი ოქრუაშვილს თავდაცვის მინისტრად?***

– არა, არა მგონია, ეს რეალური იყოს და დიდად არც ვიხიბლები აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ სწრაფვით.

***– პარტნიორად ვის განიხილავთ და ვინ არის ისეთი, ვისთანაც არ ითანამშრომლებდით?***

– პარტნიორები მეტ-ნაკლებად გარკვეულია. ეს არის ლეიბორისტების ოფისში შემდგარი ფორმატი. დანარჩენს პროცესი გვიჩვენებს. გრძელდება ეს პროცესი და, შესაძლოა, ვიღაც გამოაკლდეს და ვიღაც დაემატოს.

ამ ფორმატმა მკაფიო რამ გამოაჩინა – ჩვენ შევძელით საერთო კანდიდატებზე შეთანხმება თბილისში, ასევე ხმების ურთიერთდაცვაზე შეთანხმება. შევძლებთ იმას, რომ ამ მონაწილეთაგან „ქართულ ოცნებას“ არავინ უნდა გაურიგდეს კოალიციის შექმნის თაობაზე. თუ ვინმე ხვალ შემოუერთდება ამ ფორმატს, ავტომატურად მასთან თანამშრომლობაც გაადვილდება კოალიციური მმართველობის საკითხებზე.

***– ამ ფორმატში არის წამყვანი ძალა ნაციონალური მოძრაობა?***

– როგორც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პარტიას, ბუნებრივია, მას აქვს ყველაზე მეტი ამბიცია და პრეტენზია სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე ვნახავთ, რა და როგორ იქნება. შესაძლოა, მას ჰქონოდა მეტი მოთხოვნა, მაგრამ მან მოითხოვა 2 ოლქი, რაც სრულიად ლოგიკური და სამართლიანი იყო. როგორ გადაწყდება დანარჩენი საკითხები, ამაზე წინასწარ საუბარი რთულია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გიორგი გუგავა: „პირდაპირ ივანიშვილთან, კალაძესთან და ჩხარტიშვილთან დადონ კონტრაქტი“

## „ჩოჩელს წინასწარ ჰქონდა „დათრეული“ მიწები და მერე წეროვანში დევნილები რომ ჩაასახლეს, სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი მიითვისა“

იაგო ნაცვლიშვილი

**კოალიციას „ძალა ერთობაშია“ შეუერთდნენ ბიზნესმენები ცეზარ ჩოჩელი და კახა ოქრიაშვილი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ და რომლებსაც ოპოზიცია ცოტა ხნის წინ „ოლიგარქებად“ მოიხსენიებდა. ამის გამო ნაციონალური მოძრაობა გარკვეული პარტიების კრიტიკის ქვეშ მოექცა. ერთ-ერთი, ვინც პარტნიორები გააკრიტიკა, „ლეიბორისტები“ არიან.**

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ დეტალებზე საუბრობს.**

***– ოქრიაშვილისა და „ძალა ერთობაშიას“ კოალიციაზე თქვით, რომ ეს არის კონტრაქტი ეშმაკთან. რატომ ასეთი მძაფრი შეფასება?***

– რაც ჩვენ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, 30 წელია, ნელ-ნელა ამ ქვეყანაში სიმდიდრე, პოლიტიკური ძალაუფლება, ფინანსები მონოპოლიურად ხელში ჩაიგდო ოლიგარქიამ. ისინი სხვადასხვა ხელისუფლების ნავში ისხდნენ, გადადიოდნენ ხელისუფლებიდან ხელისუფლებაში. მათ ერთადერთ მიზანს ძალაუფლებაში ყოფნა წარმოადგენდა, რათა საკუთარი ბიზნესი და მონოპოლიური მდგომარეობა გაეძლიერებინათ. ამან პიკს მიაღწია ივანიშვილის მმართველობის დროს. ოლიგარქატი აკონტროლებს ბიზნესს, ფინანსებს, ეროვნულ სიმდიდრეს. მათ შორის არის ოქრიაშვილისა და ჩოჩელის მონოპოლიური მდგომარეობა. ტყავს აძრობენ ჩვენს მოქალაქეებს, ვაჭრობენ ადამიანების ჯანმრთელობითა და სიცოცხლით. მილიონების ტენდერები აქვთ მოგებული და ბიუჯეტიდან შეჭმული მილიონები.

როგორც კი 2012 წელს ხელისუფლება მოვიდა სათავეში, მაშინვე გადახტა მასთან ოქრიაშვილი, ახლა ისევ გადმოხტა.

***– პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა ფეისბუქში შეაქო ოქრიაშვილი, ხელისუფლება დატოვაო. თქვა მან რაღაც პრივილეგიებზე ამით უარი?***

– რომელ პრივილეგიებზე თქვა უარი? პარლამენტის ოფიციალურ საიტზე რომ ნახოთ, ის დღესაც ითვლება „ქართული ოცნება – რეგიონების“ თავმჯდომარედ. ოლიგარქია არის სახელმწიფოსა და ხალხის მტერი, რაც ნათლად არის გამოხატული. ჩვენი მოქალაქეები მშივრები არიან და მათ ყოველდღე უწევთ სიცოცხლისათვის ბრძოლა.

***– ნაციონალურ მოძრაობას ალბათ დღესაც პარტნიორად განიხილავთ მომავალ საპარლამენტო კოალიციაში და მისი ეს ნაბიჯი თქვენთვის მოულოდნელი იყო?***

– რა თქმა უნდა, ჩვენ კოორდინაციას ეჭვის ქვეშ არ დავაყენებთ, მაგრამ, როდესაც ასეთი პერსონა გამოჰყავთ კვლავ წინა პლანზე და გამოცხადებული გვაქვს ოლიგარქიის წინააღმდეგ ბრძოლა, რა თქმა უნდა, ეს საერთო ბრძოლა აღარ არის.

დარწმუნებული იყავით, რომ თუ დასჭირდა ივანიშვილს მათი ხმები, აუცილებლად მათ უმრავლესობაში აღმოჩნდებიან.

ოქრიაშვილის უტიფრობა ნახეთ, როდესაც თქვა, რომ არც წინა ხელისუფლების საქმეებზე იღებს პასუხისმგებლობას და არც ამ ხელისუფლების დროს მომხდარ საქმეებზე. პერსონები თუ არ განვდევნეთ, არაფერი გამოვა. ივანიშვილის ოპოზიციაში მისი სახელისუფლებო მოდელის გამო ვართ. მას და ოქრიაშვილს შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია. მათი საქმიანობა ზუსტად ერთნაირია. რას ვეუბნებით იმ ადამიანებს, რომლებიც კაპიკს კაპიკზე ადებენ, რომ წამლები იყიდონ?! გაათმაგებული ფასები აქვს წამლებს. ევროპაში უფრო მაღალი ხარისხის წამალი ბევრად იაფი ღირს, ვიდრე საქართველოში. თან იქ საშუალო ხელფასი 5000 ევროა.



***– ამ საკითხებს თავი რომ დავანებოთ, კითხვას ის არ აჩენს, რომ ოქრიაშვილი იყო ერთ-ერთი მეამბოხე დეპუტატი, რამაც პროპორციულის ჩაგდება და შემდეგ 20 ივნისის მოვლენები გამოიწვია?***

– ეს ცალკე თემაა, კიდევ რომ ეს ჩააგდეს იმის გამო, რომ სწორედ ამ მაჟორიტარებში არიან ჩაბუდებულები.

***– ის არ გიჩენთ კითხვას, რომ ნაცმოძრაობა თავად იბრძოდა პროპორციულისთვის და ამ დროს იმ მეამბოხე დეპუტატთან ქმნის კოალიციას, ვინც ამ სისტემაზე გადასვლა ჩააგდო?***

– არათუ კითხვებს მიჩენს, არამედ შეუთავსებელია ერთმანეთთან. მაშინ პირდაპირ შეუძლიათ, დადონ კონტრაქტი ვანო ჩხარტიშვილთან, კახა კალაძესთან, ენუქიძესთან და ივანიშვილს გაურიგდნენ პირდაპირ.

არ შეიძლება, ჩოჩელები და ენუქიძეები, ბიზნესმენად წოდებული მაფიოზები ე.წ. დეპუტატები იყვნენ პარლამენტში. მათ აქვთ ერთადერთი მიზანი – რაც შეიძლება მეტი ძარცვა. თუ ოლიგარქიისგან თავისუფალი სახელმწიფო გვინდა, მაშინ ასეთები უნდა ჩამოვაცილოთ პოლიტიკას. თუ მათთან მემორანდუმებს გავაფორმებთ და წინა პლანზე გამოვიყვანთ, მაშინ განსხვავება რაღაა?!

***– სამთავრობო კოალიცია არჩევნების მერე უნდა შეიქმნას ოპოზიციიდან. ხომ არ დგება კითხვის ქვეშ ნაციონალური მოძრაობის ამ ბლოკთან თანამშრომლობა?***

– ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ოლიგარქიასთან გვაქვს ბრძოლა დაწყებული. ვიცოდით და ვიცით, რა შედეგსაც მოუტანს ეს ქვეყანას. ამიტომ ყოველთვის ვიბრძოლებთ, რომ ისინი არ იყვნენ არც პარლამენტში, არც მთავრობაში და არც თვითმმართველობებში. აკეთონ ბიზნესი და გადაიხადონ გადასახადები. იყვნენ კონკურენტულ მდგომარეობაში და არ მოგუდონ მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ქმნის დოვლათს, სამუშაო ადგილებს და. ა.შ. ასეთი პერსონები სადაც იქნებიან, იქ ვერანაირი კოალიცია ვერ შედგება. ეს თავადაც უნდა აწუხებდეთ. ფულის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლებამ პროვოკაციები დაიწყო“

## ლევან სამუშია: „ვის შეუძლია, წაახალისოს ძალადობა ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით?! ეს ხომ ამ ხელისუფლების საფირმო ნიშანია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან სამუშია პასუხობს.**

***– გასული კვირა საკმაოდ დაძაბული და რთული იყო „ლელოსთვის“. თქვენს აქტივისტებ-ზე ანგარიშსწორებისა და თავდასხმის ფაქტებს ვგულისხმობ. პირდაპირ ხელისუფლება დაადანა-შაულეთ ამ ყველაფერში. რა ხდება?***

– თქვენ როგორ გგონიათ აბა, ვის შეუძლია, წაახალისოს ძალადობა ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით?! ეს ხომ ამ ხელისუფლების საფირმო ნიშანია. ეს ყველამ კარგად ვიცით. ცალსახაა, რომ ამ კლიმატს ხელისუფლება ქმნის ქვეყანაში და ეს კლიმატი უფრო და უფრო აიწევს წინასაარჩევნოდ. წინა არჩევნებსაც რომ გადავხედოთ, ყველასთვის ნათელია, როგორ და რანაირად ხდება.

***– შს სამინისტრომ, როგორც ცნობილია, დააკავა თქვენს აქტივისტზე სავარაუდო თავდამსხმელი. ამ ინციდენტზე რის თქმა შეგიძლიათ?***

– დიახ, ეჭვმიტანილი დაკავებულია, თუმცა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არის კითხვები.

***– რა კითხვები?***

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად იყო გამოხატული პოლიტიკური მოტივი. ვნახოთ, გამოძიება ახალი დაწყებულია და დაველოდოთ, რა და როგორ იქნება. ამ საქმესთან დაკავშირებით ცოტა მოგვიანებით მექნება უფრო მეტის თქმისა და შეფასების შესაძლებლობა.

***– რას ელოდებით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს ფონი კიდევ უფრო გამწვავდება?***

– ჩვენი სურვილია, რომ არჩევნები ჩატარდეს მშვიდობიანად, სამართლიანად და სამართლებრივ გარემოში, იმ სტანდარტებით, რასაც ჰქვია არჩევნები და არა ძალადობა, ხოლო ხელისუფლება რასაც აკეთებს, ყველამ კარგად ვიცით. ხელისუფლებას მსგავსი მცდელობები რომ ექნება, ეს უკვე კარგად ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველა მათ პროვოკაციასა და ძალადობრივ ქმედებას ვუპასუხებთ სიმშვიდით და ვერ ამოგვაგდებენ მშვიდი წინასაარჩევნო კალაპოტიდან.

***– მსგავს ბრალდებებს, რასაკვირველია, უარყოფს ხელისუფლება, ხოლო მისი მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ „ლელო“ არ არის ანგარიშგასაწევი ძალა. ამაზე რას იტყვით?***

– საერთოდ გინახავთ რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლება, რომ მას საკუთარი ძალადობა დაედასტურებინოს?! არც ერთ დიქტატორულ ქვეყანაში დიქტატორიც კი არ აღიარებს, რომ ის დიქტატორია და ამბობს, რომ დემოკრატიის შუქურაა. ამ ხელისუფლებას რომ პოლიტპატიმრები ჰყავს და ეს აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ხომ ყველასთვის ნათელია. ხელისუფლება ამასაც არ აღიარებს. აღიარებს ერთია, მაგრამ მთავარია, რეალობაში რა ხდება, რა სურათი გვაქვს.

***– თავდასხმის გარდა, იყო შანტაჟისა და დაშინების მცდელობები. ამასთან დაკავშირებით თუ დაიწყო გამოძიება?***

– დიახ, აღნიშნულ ფაქტზე ეს ქალბატონი იმყოფებოდა გამოკითხვაზე ქალაქის სამმართველოში. ამ ქალბატონმა თავადვე განაცხადა, რომ ის არის „ლელოს“ წევრი, არის სოციალურად დაუცველი, სარგებლობს უფასო სასადილოებით და ამით აშანტაჟებდნენ, რომ თუ „ლელოში“ გააგრძელებდა საქმიანობას, ეს ყველაფერი არ შეუჩერდებოდა.

***– ხელისუფლებას კანონში შეაქვს ცვლილება და მკაცრად დასჯადი ხდება დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი და რა გამოდის, ეს საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა?***

– რა საჭიროა ცვლილებების შეტანა და ამ საკითხის რაღაცა ახლად წარმოჩენა, როდესაც ეს ისედაც დასჯადი ქმედებაა. სისხლის სამართლის კოდექსში ეს ოდითგანვე ეწერა, მთავარია, კანონის აღსრულება და არა ამ კუთხით პოლიტიკური ქულების დაწერა. ამით ცდილობენ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ვითომ ქულები დაიწერონ, რომ ვითომ რაღაცას



აკეთებენ და ცდილობენ, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რისი გამკეთებლებიც არიან. აქედან გამომდინარე, ვერც ჩვენს მოქალაქეებს და ვერც საერთაშორისო საზოგადოებას შეცდომაში ვერ შეიყვანენ.

***– რამდენად დაძაბულ და მძიმე არჩევნებს ელით?***

– ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეეცადოს ძალაუფლების შენარჩუნებას, თუმცა ვეტყვი საზოგადოებას, რომ 31 ოქტომბერს ეს ხელისუფლება ჩამოსცილდება ძალაუფლებას და ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანა დაადგება განვითარების გზას. ამაში დარწმუნებული ვარ.

# „ვეღარ გაიგო ამ ხალხმა, რომ სააკაშვილი აღარავის უნდა?!“

## გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნება“ საზოგადოებას 2012 წლის ფორმულებით ელაპარაკება“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნო ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან გიგლა ბარამიძეს.**

***– საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში, სადაც წინათ ყოველი ახალი სასწავლო წლის წინ რიგები იდგა, კაციშვილი ვერაფერს ყიდულობს. გამყიდველი ამბობს, რომ მშობლები მთავრობის მიერ ბავშვებისთვის გამოყოფილ 200-ლარიან დახმარებას ელოდებიან, რის შემდეგაც საჭირო ნივთებს შეიძენენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხალხს ფული საერთოდ არა აქვს. თქვენ რას იტყვით?***

– სოციალური მდგომარეობა მძიმეა. ჩვენ ქმედითი დახმარებისაკენ ხელისუფლებას ადრევე მოვუწოდებდით, მაგრამ ამაოდ. იმ დროს, როცა ჩვენ, დანარჩენები, კარანტინის გამო სახლებში ვიყავით გამოკეტილები, ხელისუფლებამ 60 მილიონი ლარის ხელფასები და პრემია-დანამატები ჩამოირიგა. თვითონ თავისთვის არც გადაადგილება შეუზღუდავთ. მაშინ არ გვისმინეს და ამ ტიპის დახმარებების გაცემა დაიწყეს 1 სექტემბრიდან. ამიტომ უმრავლესობას ეს ფული აღებული არა აქვს. ხელისუფლებამ ეს შემწეობა არჩევნებს მიუსადაგა. რატომღაც ამასაც ამადლიან ხალხს. არადა, ჩვენთვის ისედაც ცნობილია და ტელეეთერებიდანაც გადმოიცემა სიუჟეტები იმაზე, თუ რომელი მინისტრი თუ ჩინოსანია ჩაბმული მშენებლობის, აზარტული თამაშების, საბანკო ბიზნესებში. გაუგებარია, რატომ გვამადლიან ასეთ დახმარებებს. მსგავსი და უფრო სოლიდური შემწეობები დარიგდა მსოფლიოში პანდემიის დაწყების თვეებში.



***– ხალხში რა განწყობას ხედავთ?***

– კარგი განწყობა არ ჩანს, თუმცა არჩევნები წინაა და არსებობს არჩევანის საშუალება. ჩვენ, უამრავი პარტია, დროებით გავერთიანდით და ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ ყოფილიყო მრავალპარტიულობა. პროპორციული სისტემა ვერ მივიღეთ, მაგრამ ეს მოდელი უკეთესია და იძლევა არჩევანის საშუალებას.

***– არსებობს ნიჰილიზმი პოლიტიკოსების, ყველა პარტიის მიმართ.***

– როგორი საზოგადოებაცაა, ისეთი პარტიები გვყავს. არიან კრიტიკოსი კომენტატორები, რომლებიც მთელი დღეების განმავლობაში კლავიატურაზე კაკუნისა და ყველას ლანძღვის გარდა არაფერს აკეთებენ. არადა, რასაც წერენ, იმის საპირისპიროს ცხოვრებაში ახორციელებენ. ისიც არ ესმით, რომ სხვების განქიქებით საკუთარ ოჯახსა და სანათესავოს ლანძღავენ. ამ პარტიებში ხომ მათი ახლობლები არიან გაწევრიანებული! საზოგადოებას მოვუწოდებ, ტახტზე წამოწოლასა და კომპიუტერის კლავიატურაზე კაკუნს დროებით მაინც შეეშვას და გააკეთოს არჩევანი. ჩვენ მრავალპარტიულობისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ახლა ხალხმაც კეთილი ინებოს და საარჩევნო უბანზე მივიდეს! არჩევნებზე არმისვლის ახსნა იმით, რომ არავინ არ ვარგა, არასერიოზული და არასახელმწიფოებრივია.

***– მრავალპარტიულობა და არჩევანის ზრდა ახსენეთ. ერთი მხრივ, მომავალ პარლამენტში მეტი პარტია შევა, მეორე მხრივ, ისევ მოძრაობაშია მოყვანილი ლოზუნგი „მიშა მოდის“.***

– „ქართული ოცნება“ საზოგადოებას 2012 წლის ფორმულებით ელაპარაკება და ეუბნება, რომ მიშა უნდა დაამარცხოს. საზოგადოება აღარ უნდა მოტყუვდეს. ხომ არ შეიძლება, ბევრჯერ მიგიყვანონ ნანატრ წყაროსთან და წყალი არ დაგალევინონ! შეიძლება, 8 წელიწადი ერთი და იმავე ფრაზით გაშინებდნენ?! თუ ვინმე კიდევ ტყუვდება, მას ტვინს ნამდვილად ვერ გამოვუცვლი.

***– თვითონ სააკაშვილიც ბევრ განცხადებას აკეთებს. მის ბოლოდროინდელ გამონათქვამებში რაიმე ახალი დაინახეთ?***

– ვერაფერი ახალი ვერ დავინახე და ვერ გავიგონე. სააკაშვილი არც არაფრის გამკეთებელია და არც არანაირი სოლიდური მხარდაჭერა არა აქვს. ვეღარ გაიგო ამ ხალხმა (მის მომხრეებს ვგულისხმობ), რომ სააკაშვილი გარეთაც აღარავის უნდა? წარმატებებსაც იბრალებს.

***– ითვლება, რომ მის დროს ქვეყანა შენდებოდა.***

– ეს ხდებოდა რეჟიმისა და სპონსორების წყალობით. როცა სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია ჯიბეში გიზის, როცა ადამიანებიდან ზოგს დახვრეტ, ბევრს დააპატიმრებ, როცა გყავს მილიარდერი დამფინანსებელი, რაღაც მაჩვენებლებს დადებ. სააკაშვილის ბევრ პროექტს აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი. ეს საიდუმლო არ არის. სააკაშვილი რომ ბევრ რამეში ჩაიჭრა, იმაზე რატომ არავინ ლაპარაკობს? მისი გუბერნატორობა ოდესის ოლქში სამარცხვინო იყო. ახლა რეფორმების საბჭოშიც ვერაფერი გააკეთა.

***– ნაცმოძრაობა და კახა ოქრიაშვილის პარტია ერთ ბლოკად გადის არჩევნებზე. რას იტყვით იმ პარტიაზე, რომელიც თქვენი პარტნიორიცაა და კონკურენტიც?***

– კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენ არც ნაციონალურ მოძრაობასთან და არც სხვებთან არ გავერთიანებულვართ. ახლაც დამოუკიდებლად გავდივართ არჩევნებზე. ვიყავით იქ, სადაც 30 პარტია არჩევნების მოდელზე შეთანხმდა და უკეთესი არჩევნებისთვის იბრძოლა. ერთადერთი, რაზეც კიდევ შევთანხმდით, ესაა ხმების დაცვა და სამართლიანი არჩევნები. დანარჩენში ჩვენ არავისთან ვერთიანდებით. რომელი პარტია ვისთან შექმნის ბლოკს, ეს მისი საქმეა. რატომღაც ისევ წამოგვაძახებენ ხოლმე, რომ ნაციონალების გვერდით ვისხედით. ამაზე ბევრჯერ გავაკეთეთ განმარტება და მუდმივად ამის ძახილი მოქალაქეების მხრიდან ქართული პოლიტიკური პროვინციალიზმია.

***– არსებობს იდეა, გაფორმდეს მემორანდუმი იმაზე, რომ პარტიები არ შეუქმნიან კოალიციას „ქართულ ოცნებას“.***

– ამაზე სიტუაციიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ. ისე, გაფორმებული და შეუსრულებელი მემორანდუმი ბევრი გვინახავს.

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩემი თავდაცვისმინისტრობა არარეალურია. საკუთარ თავს პარლამენტში ვხედავ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***– დაუჭერთ თუ არა მხარს სააკაშვილს პრემიერად, ამაზეც არ მიპასუხებთ ახლა?***

– საერთოდ, მოუნადირებელი დათვის ტყავის გაყოფა უაზრო საქმეა. როცა ეს საკითხი დადგება, მაშინ ვიმსჯელებთ, ვინ და როგორ. წინასწარ საუბარი უადგილოა. საერთოდ, ზოგიერთი პარტიის მხრიდან გულზე მჯიღის ცემა, რომ მე ვიქნები პრემიერი, თუ არა, დამთავრდა საკითხიო, ასე არ არის.

***– მე, როგორც ამომრჩეველს, მაინტერესებს როგორც პროგრამები, ასევე ჩრდილოვანი კაბინეტიც. რატომ არ საუბრობთ ამ თემებზე?***

– ყველანი მაქსიმალისტები ვართ და გვინდა, წინასწარ ბევრი რამე ვიცოდეთ, მაგრამ წინასწარ ჩრდილოვან კაბინეტზე ლაპარაკი შეუძლებელია. ჯერ მივიდეთ იქამდე, რომ „ოცნება“ დავამარცხოთ. ხალხის დაკვეთაა, რომ „ოცნება“ აღარ იყოს ხელისუფლებასა და უმრავლესობაში, მაგრამ ჯერ ეს უნდა მოვახერხოთ და მერე ვიმსჯელოთ ამ ყველაფერზე. წინასწარ ამაზე საუბარი ცოტა უაზრობაა.

***– თქვენ იყავით ის პერსონა, რომელიც თავის დროზე დაუპირისპირდა კრიმინალს. დღეს ვხედავთ უმძიმეს ვითარებას. ახალგაზრდებში დაბრუნდა ე.წ. ქურდული გარჩევები. რაც „ტვპირველმა“ შაქარაშვილის საქმეზე გაავრცელა, სავალალო იყო, როცა არასრულწლოვანი ბრალდებული ამბობს, რომ თუ მას მკვლელობისთვის გაასამართლებენ, მაშინ მამამისი რამდენიმე პირის ანგარიშსწორებას მოახდენს. რისი ბრალია ეს ვითარება?***

– ამ კონკრეტულ დეტალზე არ ვარ საქმის კურსში, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია – ეს ყველაფერი, რაც მაგ მიმართულებით ჩვენს საზოგადოებაში ხდება, ხელისუფლების ბრალია, რომელმაც კონტრაქტი გააფორმა კრიმინალურ სამყაროსთან საარჩევნო მხარდაჭერის სანაცვლოდ 2018 წელს და დღეს ეს კრიმინალური სამყარო ხელახალ კონტრაქტს ითხოვს ხელისუფლებისგან და ასევე ვალდებულებების გადახდას ითხოვს „ოცნებისგან“.

ზუსტად ამის შედეგია ის, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტად მოუმძლავრდათ ქურდული სამყაროს მიმართ ინტერესი. ხელისუფლება უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქმედების შედეგია, როცა ამის გამოყენება ხდება საარჩევნოდ.

***– რეალურად გვაქვს შსს და პროკურატურა?***

– ჩვენ გვყავს სამართალდამცავი სტრუქტურები, რომლებიც პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე, ტენდერების ჩაწყობასა და მოგებაზე არიან გადასული. მე მიმაჩნია, რომ შსს-ს რადიკალური დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს. უნდა დარჩეს ცენტრალური ნაწილი, რომელიც მსხვილი ტიპის დანაშაულების გამოძიებაზე იქნება ორიენტირებული.

დღეს საკმაოდ დიდი არაკვალიფიციურობაა შსს-ს ცენტრალურ აპარატში და წარმომიდგენია, პერიფერიებში რა იქნება. უნდა დაიყოს შსს მუნიციპალურ სტრუქტურებად, სადაც პოლიციის უფროსების არჩევა მოხდება ადგილობრივ დონეზე და ისინი ადგილობრივ მერებსა და გამგებლებს დაექვემდებარებიან, რომლებიც წვრილმანი დანაშაულების გამოძიებასა და ასეთი ტიპის პრევენციაზე იქნებიან ორიენტირებული. აღარ გვჭირდება ისეთი მონსტრი, რომელიც დღეს გვყავს და ქვეყანას საფრთხეს უქმნის. შსს უნდა იყოს არა საარჩევნოდ გამოსაყენებელი, არამედ კრიმინალთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი და საზოგადოების ბრძოლის ბერკეტი.

***– სავარაუდოდ, საერთაშორისო დამკვირვებლების დიდი ნაწილი ვერ ჩამოვა. რას ელოდებით ამ მხრივ და რას მოიმოქმედებთ, თუ დაინახავთ, რომ არჩევნები ყალბდება?***

– ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნებისადმი ყურადღება დაბალი იქნება. შესაძლოა, კიდევ უფრო მოიმატოს, თუ ისინი ვერ ჩამოვლენ. დღეს აღარ არის ისე, რომ ადგილზე თუ ვერ ხედავ რაღაცას, ადგილზე მისი დაფიქსირების გარეშე შედეგს ვერ მიაღწევ. გარედან ყურადღება ისევე ეფექტურად შეიძლება, როგორც ადგილობრივი დამკვირვებლის მიერ. თუ ასეთი ტიპის ყურადღება მოისუსტებს, ჩვენ ვიქნებით იმის ავანგარდში, რომ ეს დარღვევები საერთაშორისო თანამეგობრობას მივაწოდოთ. ივანიშვილს არ ეპატიება ის, რაც ეპატია 2018 წელს.

***– დაიცავთ ხმებს?***

– რა თქმა უნდა. არა მარტო საკუთარ ხმებს, არამედ ყველას ხმებს ერთდროულად. ეს არის ჩვენი საზოგადოების მომავლის და არა კონკრეტული პარტიის ხმების დაცვა.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ნაცმოძრაობას ფული სჭირდება, ამიტომ ოქრიაშვილ-ჩოჩელის მილიონებზე უარი არ თქვა“

## თორნიკე შარაშენიძე: „ლელოს აქტივისტები“ რა საფრთხეს უქმნიან მთავრობას? მეღიმება ამაზე“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გვესმის შეფასებები, რომ სულ უფრო მყარდება ხელისუფლების პოზიციები და სუსტდება ოპოზიციის. რა ვერ გათვალა ოპოზიციამ, რატომ აღმოჩნდა ცუდ მდგომარეობაში? დიდი ვნებათაღელვაა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებში. ძალიან ბევრს არ მოსწონს კახა ოქრიაშვილის, ცეზარ ჩოჩელისა და დილარ ხაბულიანის ნაცმოძრაობასთან მიერთება. ეს პროცესები რამდენად დააკარგვინებს მხარდამჭერებს ნაცებს?***

– რა გითხრათ, ნამდვილად არ ვაპირებ მათ ოჯახურ საქმეებსა და გარჩევებში ჩარევას. მოგეხსენებათ, ოჯახურ საქმეებში არ უნდა ჩაერიო, თუმცა, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ნაცმოძრაობას აშკარად აკლია ფული. ფული „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. უარი თქვა ოქრიაშვილსა და ჩოჩელზე, რაღაც მორალური მოსაზრებების გამო, არ არის მთლად რაციონალური, მით უმეტეს, ერთი მათგანი ადრეც იყო ნამოძრაობაში და ჩოჩელიც იყო ნაცმოძრაობის დამფინანსებელი. ოქრიაშვილი კი, მთელი ცხოვრება მაჟორიტარია.

***– ორივე მათი რიგებიდან მოდის, თუმცა მერე შეიცვალეს პოზიციები, მეძროვეები არიანო.***

– კი, გასაგებია, მაგრამ მე ასე ვიკითხავდი, აქვს ნაცმოძრაობას იმის ფუფუნება, რომ უარი თქვას მათ მილიონებზე?! იმ მილიონებზე, თუნდაც რომელსაც მოიტანს ოქრიაშვილი. ბუნებრივია, არა აქვთ! ფული უჭირთ სერიოზულად და ეს არც არის გასაკვირი.

***– ჩოჩელსაც და ოქრიაშვილსაც საკუთარი ბიზნესის ბედი, მისი ლობირება ადარდებთ და სწორედ იმიტომ მიდიან ამა თუ იმ პარტიაშიო. არის დღეს იმის გარანტიები, რომ სოლიდურად მოვა ნაციონალური მოძრაობა?***



– არა, ამის არანაირი გარანტია არ არსებობს, მით უმეტეს დღეს რამდენიმე ფაქტორია, რაც სერიოზულად ეხმარება „ქართულ ოცნებას“. ერთ-ერთი ფაქტორია ის, რომ ნაწილდება დახმარებები. ბუნებრივია, ეს დახმარებები ნაწილდება კოვიდთან ბრძოლის ფარგლებში, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს დახმარებები წინასაარჩევნო კამპანიაა.

***– კარგად მუშაობს წინასაარჩევნოდო. კარგად გამოიყენა ეს ხელისუფლებამ?***

– ასეა, გამოიყენა, მაგრამ ვერავინ მოედავება მთავრობას, ფული არ მისცე მოსახლეობასო, ვერ ეტყვიან, იმიტომ რომ კოვიდმა მოსახლეობა დააზარალა. შესაბამისად, მშვენივრად გამოსდით ეს ყველაფერი. რომ იტყვიან, კოვიდი მშვენივრად დაეხმარა „ოცნებას“.

***– იმ ფონზე, როდესაც მთელი მსოფლიო ალაპარაკდა მეორე ტალღაზე, რა მოცემულობა იქმნება? დაწესდება შეზღუდვები? ცხადია, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს. რას უნდა ველოდეთ?***

– მე რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით სიტუაცია კარგად კონტროლდება. მატება არის ძირითადად ერთი კლასტერის გამო, რომელიც ბათუმში საკონდიტრო „დონას“ უკავშირდება. კატასტროფული აფეთქება ჯერ არ გვემუქრება. უფრო სერიოზული აფეთქება რომც მოხდეს, ქვეყანას ხელმეორედ არავინ დაკეტავს. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში იგივე ხდება. მაგალითად, ევროპაში ჩვენზე ბევრად საგანგაშო მდგომარეობაა, მაგრამ ხელახლა კარანტინს არ აცხადებენ, რადგან ხვდებიან, რომ ამით ეკონომიკას სერიოზულად დააზარალებენ. რასაც მე ვუყურებ, ვერც ერთი ევროპული ქვეყნის მთავრობა ვერ ბედავს, რომ კარანტინი ხელახლა გამოაცხადოს.

***– ანუ ასეთ მკაცრ ზომებს ჩვენთანაც გამორიცხავთ?***

– კი, რადგან მერე ძალიან გაუჭირდება საქართველოს ფეხზე დადგომა.

***– ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურობს „ლელო“. ამბობენ, რომ შესაძლოა გარკვეულ წარმატებას მიაღწიონ. ამ ფონზე კი გვესმის მათი ლიდერების განცხადებები, რომ მათ აქტივისტებს თავს ესხმიან და ასე შემდეგ. ასეთ საშიშ ძალას წარმოადგენს ხელისუფლებისთვის?***

– მაინცდამაინც არ მჯერა იმის, რომ „ლელოს“ აქტივისტები ჰყავთ ამოღებული მიზანში, რადგან დიდი საფრთხე „ლელოსგან“ არც ისე არ მოდის.

***– აბა, ეს რა არის, თვითრეკლამა?***

– მე უფრო ეგ მგონია. კარგით, რა, „ლელოს აქტივისტები“ რა საფრთხეს უქმნიან მთავრობას? მეღიმება ამაზე. არაფერი განსაკუთრებული „ლელოს“ ფრონტზე არ ხდება, მაქსიმუმ ხუთი კაცით შევიდნენ პარლამენტში. სულ ეს არის.

***– რა მოცემულობას მივიღებთ? უკვე ბევრი ექსპერტი აცხადებს, თუ ეს სიტუაცია შენარჩუნდა, შეგვიძლია, „ოცნებას“ გამარჯვება მივულოცოთო. თქვენც ასეთი პროგნოზი გაქვთ?***

– დღევანდელი გადასახედიდან, კი, ამის შანსი, რა თქმა უნდა, დიდია. 2012 წელს ოპოზიცია იყო ერთიანი, დიდი ფული ჰქონდა და ყველა ერთად იყო თავმოყრილი. ახლა ოპოზიციაში ისეთი დაქსაქსულობა და დაპირისპირებაა, პირდაპირი მნიშვნელობით ერთმანეთს ჭამენ ყოფილი მეგობრები და თანამებრძოლები, ასეთ სიტუაციაში მე ეჭვი მეპარება მათ გამარჯვებაში. ვერ შედგა მათი ერთობა.

***– ბატონო თორნიკე, პირადად მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება იყო, ეს ფულიანი მაჟორიტარები მათ კოალიციას შეერთებოდნენო?***

– რა თქმა უნდა ასეა, მის გარეშე პარტიაში არაფერი წყდება. ასეთი სერიოზული საკითხები, თავისთავად ცხადია, მიშას გარეშე ვერ გადაწყდებოდა. მიშა არის ნაცმოძრაობის ხმების 50%, ესეც მინიმუმ. მის გარეშე პარტია რეალურად არ არის.

***– როგორ ფიქრობთ, მას დაასახელებენ პრემიერად?***

– მოდით, ასე ვთქვათ, საქმე აშკარად აქამდე მიდის, თუმცა ეს, მეორე მხრივ, საკამათოა, რამდენად სწორი ნაბიჯი იქნება.

***– ეს ნაცმოძრაობის მხარდამჭერების მობილიზებას მოახდენსო.***

– კი, ერთი მხრივ, ეს უფრო დარაზმავს ნაცმოძრაობის ამომრჩეველს, მაგრამ, მეორე მხრივ, დააფრთხობს ბევრ ნეიტრალურ ამომრჩეველს. ჩემი აზრით, არ არის საჭირო მისი დასახელება, ისედაც დაირაზმება ნაცმოძრაობის ამომრჩეველი, არ სჭირდება უფრო მეტად დარაზმვა. თუმცა ეს თვითონ უნდა გადაწყვიტონ, სხვა ვერ ჩაერევა მათ საქმეებში.

***– რამდენად გაუთვლელ განცხადებებს აკეთებს სააკაშვილი?***

– როგორც გითხარით, ბევრს დააფრთხობენ, თუმცა იმას მაინც მიაღწევს მიშა, რომ კვლავ მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩეს ნაცმოძრაობა. წესით, მისი მიზანი ძალაუფლებაში დაბრუნება უნდა იყოს, თუმცა, ეს რამდენად გამოუვა, ამის თქმა მიჭირს.

***– რა შანსები აქვს „ოცნებას“, როდესაც ამბობთ, რომ ამ ეტაპზე მომგებიან სიტუაციაშია, კოალიციის გარეშე დარჩება ხელისუფლებაში?***

– დღევანდელი მოცემულობით, ასეა. 30 მაჟორიტარიდან რეალურად 25-ის მოგების შანსი აქვს „ოცნებას“. 25 მაჟორიტარი ძალიან დიდი ფორაა. პროპორციულში 42% თუ აიღო, უკვე უმრავლესობა გამოდის. დღევანდელი გადასახედიდან ამის რეალური შანსი დიდია თუ რამე შიგნიდან არ აუფეთქდათ, რაშიც უკვე ეჭვი მეპარება. გახარიამ მშვენივრად გაართვა თავი ყველაფერს და, ალბათ, ბოლომდე ასე მივლენ.

# „სად უფრო აწყობს „ოცნებას“ სააკაშვილი, ციხეში თუ საზღვარგარეთ?!“

## სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი ჯერ კიდევ სარგებლობს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობის მხარდაჭერით. ამდენად, პოლიტიკოსი სააკაშვილი ჯერ კიდევ ცოცხალია“



**პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო სოსო, მიხეილ სააკაშვილი მორიგ განცხადებას აკეთებს დაბრუნების გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც წინასაარჩევნოდ არაერთხელ გაუკეთებია. ამჯერად შეიძლება, მართლაც დაბრუნდეს?***

– სააკაშვილი, უმრავლესობას მოსწონს თუ არ მოსწონს, მაინც რჩება ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორად. მისი ჩამოწერა ქართული პოლიტიკიდან ნაადრევი იყო.

მართალია, სააკაშვილი ყველა არჩევნების წინ აკეთებს დაბრუნების შესახებ განცხადებას, მაგრამ ამჯერად, ვფიქრობ, უფრო აქტიურად და მიზანდასახულად მოქმედებს. შეიძლება, იმითაც არის განპირობებული, რომ ეს არჩევნები თვისობრივად სხვა არჩევნებია, თან, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, უკმაყოფილო ამომრჩევლის რიცხვი დღითიდღე იზრდება. ყოველდღე უარესდება ცხოვრების დონე. ამას ემატება პანდემიით გამოწვეული ვითარება. უცებ დღეში დაინფიცირებულთა რაოდენობა 30 აღწევს. ამ დროს ფერმკრთალდება პანდემიასთან ბრძოლის წარმატება. ეს ყველაფერი თავს იყრის, რაც არ ზრდის მმართველი პარტიის რეიტინგს, მით უფრო, წინასაარჩევნოდ.

რაც მთავარია, ეს არჩევნები გარდამტეხ არჩევნებად ფასდება. რა თქმა უნდა, ეს კარგად იცის სააკაშვილმა. როგორც ჩანს, აქტიური კავშირი აქვს პარტიის წევრებთან. მან კარგად იცის აქ არსებული ვითარება. არა მგონია, მხოლოდ ინტერნეტის იმედზე იყოს. როგორც ჩანს, ყველაფერი აწონ-დაწონა და, მისი გათვლით, მას შეუძლია, ჩამოვიდეს, ჩამოვიდეს არა როგორც რიგითი მოქალაქე ან ტურისტი, რომელიც ბილეთს აიღებს და თვითმფრინავით ჩამოფრინდება.

***– ჩამოვა და როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს, დააკავებენ?***

– როგორც დაბრუნდა თავის დროზე პაკისტანში ბენაზირ ბჰუტო, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა. ის არჩევნების შემდეგ დაბრუნდა და პრეზიდენტი გახდა. შეიძლება, სააკაშვილის გათვლაც ასეთია, ვერ გეტყვით, თუმცა სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა გეგმა ეფექტური აღმოჩნდეს. ზოგი მართლდება, ზოგი – არა, თუმცა, სააკაშვილი რომ ჯერ კიდევ სარგებლობს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობის მხარდაჭერით, ფაქტია. ამდენად, პოლიტიკოსი სააკაშვილი ჯერ კიდევ ცოცხალია.

***– ეს განცხადებაც ამის გამოძახილია?***

– რასაკვირველია. კონანდოილის არ იყოს, ცნობა მის სიკვდილზე გადაჭარბებული აღმოჩნდა!

***– დააკავებენ?***

– თუ ჩამოვიდა, დააკავებენ, მაგრამ, სად უფრო აწყობთ სააკაშვილი, ციხეში თუ საზღვარგარეთ?! მე მაინც არ მგონია, რომ ღამე ტომარა ჩამოაცვან თავზე და გაიყვან-გამოიყვანონ. ასე მარტივადაც არ იქნება. სააკაშვილი ყოფილი პრეზიდენტია, ამიტომ საერთაშორისო ყურადღება ძალიან დიდი იქნება. თუ პატიმარი იქნება, მაშინ განსაკუთრებული პატიმარი იქნება.

***– შეიძლება, ამას გეგმავს და ეს უფრო აწყობს რეაბილიტაციისთვის? თან ბოდიში მოიხადა.***

– დიახ, ბოდიში მოიხადა, რაც ადრე არ მომისმენია მისგან. ეს აღიარებაა. ბოდიშის მოხდა პატიების თხოვნას ნიშნავს ხალხისგან. მონანიების გარეშე მიტევება არ არსებობს! პოლიტიკური მტრები, რასაკვირველია, არაფერს აპატიებენ, მაგრამ ბოდიში მოსახლეობას, საზოგადოებას ეკუთვნოდა. შეიძლება, ბევრი მიმტევებელიც აღმოჩნდეს. თუმცა მაინც ძნელია პროგნოზის გაკეთება, როგორი იქნება რეაგირება.

***– ნაციონალური მოძრაობის ბოლო პოლიტიკურ სვლას როგორ აფასებთ? კახა ოქრიაშვილის დაბრუნებას ვგულისხმობ მათ რიგებში. ეს არის დივიდენდი თუ პირიქით? სოციალურ ქსელებში მათი მომხრეების რაღაც ნაწილმა გააპროტესტა კიდეც.***

– ოქრიაშვილი, ჩოჩელი და ხაბულიანი თავიანთი რესურსით ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნაციონალური მოძრაობისთვის. შეიძლება, ეს ფაქტი პარტიის თითო-ოროლა წევრმა ან მომხრემ გულწრფელად გააპროტესტოს, მაგრამ საქართველოში დიდი ხანია, პრინციპების დრო წავიდა.

***– ფინანსურ რესურსს გულისხმობთ თუ რას?***

– მთელ რესურსს, ერთად აღებულს, ფინანსურს, გავლენებს, წრეებს. ნუ დავივიწყებთ, რომ 20 წელია, ოქრიაშვილი დეპუტატია. მას აწყობილი სისტემა აქვს. რაც შეეხება ხაბულიანს, ის ზვიადისტების ხმებს მიიტანს. ესეც რესურსია. თანაც დილარ ხაბულიანი ყოველთვის დადებითი პიროვნება იყო. ჩოჩელსაც აქვს გარკვეული რესურსი. ამიტომ ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო პლუსია ნაციონალური მოძრაობისთვის, ვიდრე წისქვილის ქვები. ჭკვიანური ნამუშევარია. პოლიტიკაში ისე არ ხდება, რომ უცებ გაეღვიძა ოქრიაშვილს და გადაწყვიტა, ერთი ნაციონალებთან მივალო და მათაც უცებ ჩაიხუტეს. როგორც ჩანს, წინ დიდი მოლაპარაკებები უძღოდა, თან ისე პროფესიონალურად გაკეთდა ეს ყველაფერი, რომ ინფორმაციამ ვერ გამოჟონა. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. ბევრი დღესაც დაბნეულია და ისეთ განცხადებას აკეთებს, რომ დამიჯერეთ, მალე გადათქვამენ. თან ყველას ყველაფერი აქვს გასახსენებელი და მორალზე საუბარი ცოტა უხერხულია.

***– ბატონო სოსო, „ლელოზე“ უნდა გკითხოთ: მათ ჰქონდათ პროგრამის პრეზენტაცია. ოქტომბრის დასაწყისში ჩრდილოვან კაბინეტსა და პრემიერობის კანდიდატს დაასახელებენ, თუმცა კაბინეტში ყველა „ლელოს“ წევრი შეიძლება არ იყოს. რას იტყვით?***

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო „ლელოს“ ასეთი წარმატებული სტარტი. პოლიტიკოსები, რომლებსაც მე პატივს ვცემ და რომლებიც მიმაჩნია ინტელექტუალურად, ყველა „ლელოში“ აღმოჩნდა. თან „ლელომ“ შეძლო გაუსვრელი ახალგაზრდა, დამწყები პოლიტიკოსების მობილიზებაც. ეს ძალიან ჭკვიანური სვლა იყო მათი მხრიდან. მე მჯერა, რომ მინისტრთა ჩრდილოვან კაბინეტს, შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოადგენენ, თანაც ინტელექტუალური რესურსის მაქსიმუმი გააჩნიათ. „ლელო“ სერიოზულად იქნება პარლამენტში წარმოდგენილი.

***– პრემიერობის კანდიდატი, ფიქრობთ, ხაზარაძე იქნება?***

– შეიძლება, ხაზარაძე დასახელდეს, შეიძლება – სხვა ვინმე, ვერ გეტყვით. თუმცა, ევროპული ხედვით, ასეთ კრიზისულ პერიოდში ყოველთვის ფინანსისტი სახელდება. მხოლოდ ბანკირს შეუძლია, ემოციების გარეშე, თუნდაც არაპოპულარული ღონისძიებებით, ცივი გონებით მიიღოს გადაწყვეტილებები და ამან გაამართლოს.

# გიორგი გუგავა: „პირდაპირ ივანიშვილთან, კალაძესთან და ჩხარტიშვილთან დადონ კონტრაქტი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მეშვეობით უფრო დიდ ფულს ვერ მოუგებ ისეთს, როგორიც ივანიშვილია. რას ეუბნებიან გულწრფელ მომხრეებს, რომლებთან ერთადაც ქუჩა-ქუჩა ვიბრძოდით?! ოქრიაშვილი და ჩოჩელი, რომლებიც ბიუჯეტს ხრავენ, ისინი წარმოაჩინონ?! რას ეუბნებიან ხალხს, გულწრფელ და იდეურ მხარდამჭერებს?!

***– ოპოზიციას გაქვთ ხოლმე შეხვედრები და ნაცმოძრაობასთან ერთად ხომ არ განიხილავთ ამ საკითხს?***

– არა, ეს მათი შიდა საქმეა და, ბუნებრივია, არ გვაქვს უფლება. ისინი დამოუკიდებლად მონაწილეობენ არჩევნებში და ეს მათი გადასაწყვეტია. ეს არ არის საერთო ოპოზიციურ ფორმატში განსახილველი საკითხი.

მე გამოვხატე ჩემი გულისტკივილი და დამოკიდებულება ოლიგარქატის წინააღმდეგ. ოლიგარქების გამორჩევა, რომ ეს ჩემია და ეს სხვისია, არ გამოვა. მგელი შეგჭამს თუ ტურა, მნიშვნელობა არა აქვს. ისეთი პერსონები, როგორებიც არიან ჩოჩელები, ოქრიაშვილი, ენუქიძე, თითქმის ყველა მაჟორიტარულ ოლქში ასეთი ოლიგარქატია. ეს გააკეთა ივანიშვილმა და, თუ შენც იმავე ხერხს იყენებ, მაშინ მისგან არაფრით განსხვავდები.

***– ენზელ მკოიანიც აპირებს, დამოუკიდებლად იყაროს კენჭი.***

– ახლა შეიძლება, ენზელ მკოიანიც დააბრუნონ. ესენი ერთიანად უნდა განვკვეთოთ ქართული პოლიტიკიდან, რომ ქართული სახელმწიფო გადარჩეს.

იმდენად დიდი მიზანი გვაქვს ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების თაობაზე, რომ ამ თანამშრომლობას ეჭვქვეშ არ დავაყენებთ, მაგრამ გამოვთქვით გულისტკივილი. იმასაც ვამბობთ გულწრფელად, რომ ოლიგარქების წინააღმდეგ ბრძოლას საარჩევნო პერიოდშიც და მას შემდეგაც გავაგრძელებთ.

ჩოჩელს წინასწარ ჰქონდა „დათრეული“ მიწები და მერე წეროვანში დევნილები რომ ჩაასახლეს, სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი მიითვისა. ეს წინა ხელისუფლების დროს და ამ ხელისუფლების დროს 14 მილიონის ტენდერი აქვს მოგებული ბოლო წლებში. მათ შორის მილიონი ლარის კანფეტი დაურიგეს პოლიციელებს. მათ უნდა მიუჩინო მათი ადგილი, უკან უნდა მოიტანონ ეს ფულები და ის უნდა გადანაწილდეს დაჩაგრულ ხალხზე.

# 47 წლის ვანო ხანჯალიაშვილი რუისპირში ტაქსში ჩაცხრილეს

## „გაყიდულ მანქანას ყადაღა ჰქონია და მყიდველი მანქანის უკან დაბრუნებას აპირებდა“

5 სექტემბერს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მკვლელობა მოხდა.

იყალთოში მცხოვრებმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით რუისპირში მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული ვანო ხანჯალიაშვილი მოკლა.

კონფლიქტი ავტომანქანის შესყიდვაზე მოლაპარაკების დროს დაიწყო.

მოკლული მამაკაცი ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესით იყო დაკავებული, ის ძმასთან ერთად, მოძველებულ მანქანებს ყიდულობდა და შეკეთების შემდეგ ყიდდა.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობა ტაქსში მოხდა, რომლითაც კონფლიქტში მონაწილე მხარეები გადაადგილდებოდნენ. სავარაუდო დამნაშავემ მიმალვა მოახერხა.

მოკლულის ძმის თქმით, მკვლელობის ამბავი ბიძაშვილისგან გაიგო და როცა შემთხვევის ადგილზე მივიდა, მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

– მე შევესწარი ჩემი ძმისა და იმ პირის შეხვედრას. ჩვეულებრივი საუბარი ჰქონდათ და შემდეგ მე შემოვედი სახლში. ჩემი ძმის ამბავი ჩემმა ბიძაშვილმა გამაგებინა. მე როცა ვნახე, უკვე გარდაცვლილი იყო და დანარჩენი არაფერი ვიცი. სავარაუდოდ, ამ დაპირისპირების მიზეზი იყოს ის, რომ ჩემი ძმისგან ყიდულობდა ის ბიჭი მანქანას და თანხის დაკლებას სთხოვდა, ჩემი ძმა არ უკლებდა და, სავარაუდოდ, თანხაზე ვერ შეთანხმდნენ და ამას მოჰყვა ეს ამბავი, – უთხრა „ამბებს“ დაღუპულის ძმამ.

როგორც გარდაცვლილის ბიძაშვილი ია ტუხაშვილი აცხადებს, დაპირისპირებას წინ ხმამაღალი საუბარი არ უძღოდა.

– არ დაგვინახავს, ვინ იყვნენ. დაუძახეს და გაიყვანეს გარეთ. ჩვენ არ ვიცით, რაზე საუბრობდნენ, თუმცა ხმამაღალი საუბარი არ ყოფილა. ჩვეულებრივად საუბრობდნენ და უეცრად გაისმა გასროლის ხმა, – განაცხადა ია ტუხაშვილმა.

ლეილა ჩიბილაშვილის განცხადებით, გასროლის შემდეგ დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

– გასროლამდე არანაირი ხმა არ გაგვიგია. 2 გასროლის ხმა გავიგე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ფეიერვერკი მეგონა. შემდეგ დავინახე პატრულის მანქანები და გარეთ გამოვედი. მეზობლები შორიდან ვუყურებდით, ადგილზე ვერ მივიდოდით. მე როგორც გავიგე, დამნაშავემ გარდაცვლილისგან იყიდა მანქანა და ჯარიმა იყო გადასახდელი. ეს ბიჭი გარდაცვლილს სთხოვდა ჯარიმის გადახდას, როგორც ვიცი, 50 ლარი იყო ჯარიმა და სთხოვდა, შენი მანქანა იყო და შენ უნდა გადაიხადო ეს ჯარიმაო და ამაზე ვერ მორიგდნენ. კისერში ჰქონდა ჭრილობები მიყენებული. დამნაშავე გაიქცა, მაგრამ ვიცით, რომ სოფელი იყალთოდან არის. ძალიან დაგვენანა, გარდაცვლილი ძალიან კარგი ადამიანი იყო, – განაცხადა ლეილა ჩიბილაშვილმა.

კვირის პალიტრის ინფორმაციით, ვანო ხანჯალიაშვილის მკვლელობაში მხილებული სოფელ იყალთოში მცხოვრები 37 წლის მწყემსია.

**თემურ გიგაური, მერის წარმომადგენელი სოფელ რუისპირში:**

– სამწუხაროა, რაც მოხდა. როგორც გარდაცვლილი ბიჭის დედა ამბობს, ვანოს სახლში



მიაკითხეს მანქანით, ცოტა ხანი ისაუბრეს, მერე ჩაისვეს მისი შვილი მანქანაში და წაიყვანეს. როგორც ჩანს, შელაპარაკება გვერდით ქუჩაზე მოხდა. მოკლულსა და დამნაშავეს შორის კონფლიქტი მანქანის გამო მოხდა.

გარდაცვლილი ვანო ხანჯალიაშვილი ძველ მანქანებს ყიდულობდა, აწესრიგებდა და მერე ყიდდა, მეზობლები ამბობენ, რომ სწორედ გაყიდული მანქანის გამო მოუხდათ უთანხმოება. ვანოსგან უყიდია გვერდით სოფელში მცხოვრებ მამაკაცს მანქანა და თურმე გაირკვა, რომ იმ მანქანას ყადაღა ედო. სავარაუდოდ, ამაზე იყო დავა, ის ბიჭი ითხოვდა, უკან მიებრუნებინა მანქანა. სახლში მიაკითხა და იქიდან გაიყვანეს ვანო. როგორც გავარკვიეთ, გვერდით უბანში არიან გასულები. იქ მომხდარა კონფლიქტი და ამ დროს იმ ბიჭმა ცეცხლსასროლი იარაღით გასროლით მოკლა ვანო. ტყვია პირდაპირ თავში აქვს ნასროლი და სამწუხაროდ, ადგილზე იყო გარდაცვლილი. ფაქტს თვითმხილველი ჰყავს, მაგრამ მას ჯერ არ გავსაუბრებივარ, რადგან წუხელვე დაკითხვაზე იყო წაყვანილი.

***– ვანო კონფლიქტური ადამიანი ხომ არ იყო?***

– არა, პატიოსანი, მშვიდი ბიჭი იყო. დაოჯახებული არ იყო, მამა გარდაცვლილი ჰყავს და დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა. დალევა არ უყვარდა და კონფლიქტები. იაფფასიან მანქანებს ყიდულობდა სოფელში, შეაკეთებდა და მერე ყიდდა. ამის გამო პატარა უთანხმოებები ადრეც მოუვიდა მყიდველებთან. კონკრეტულად რაზე იჩხუბეს, ნამდვილად არ ვიცი, ამას გამოძიება დაადგენს. დედა ამბობს, რომ სახლში მიაკითხეს მანქანით მის შვილს, ილაპარაკეს აქაც ცოტა ხანი, მერე ჩაისვეს მანქანაში და სახლიდან წაიყვანესო და ამის შემდეგ ეს საშინელი ამბავი გაიგო.

**გოჩა ქაძე, მერის წარმომადგენელი სოფელ იყალთოში:**

– ბიჭი, რომელსაც მკვლელობაში ადანაშაულებენ, ჩვენი თანასოფლელია. როგორც ვიცი, წუხელ ეძებდნენ. ცუდი ბიჭი არ იყო, რა მოხდა და რატომ დატრიალდა ეს ტრაგედია, არ ვიცი. სოფელში ყველა გაოგნებულია. როგორც შევიტყვეთ, მანქანაზე ყოფილა დავა და რაღაც ფულის დაბრუნებას ითხოვდა ეს ბიჭი. ზოგადად კონფლიქტური პიროვნება არ იყო, ჩვეულებრივი მშრომელი, მწყემსი ბიჭია, საქონელი და ცხვრები ჰყავს. ცხოვრობდა თავისთვის, დაოჯახებული არ იყო. სამწუხარო ამბავია, რაც მოხდა, დეტალები ჩვენთვის უცნობია.

# „ანი გაბეჩავა 15.000-ს გვთხოვდა“

## რაზე ლაპარაკობენ შაქარაშვილის საქმეში ბრალდებულები



„ტვ პირველმა“ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულების ფარული ჩანაწერი გლდანის ციხიდან მოიპოვა.

ერთ-ერთი ბრალდებული ამბობს, რომ თუ მათ პატიმრობას მიუსჯიან, ამას მინიმუმ 3 ადამიანის მკვლელობა მოჰყვება.

ასევე საუბრობენ ანი გაბეჩავაზე და ამბობენ, რომ გაბეჩავა მათ 15.000-ს სთხოვდა.

„რატომ მაქვს ამხელა სროკი, ამის დედის მ....ი მ....ნ. გაბეჩავა რას ამბობს, შოკშია კიდე? მაგის გამზრდელი მოვ**, მეორე დღეს ვნახეთ, ჯარიმას მიწერენ 15 ათასს და გადამიხადეო. ჩვენ ვუთხარით, დაგირეკავ საღამოს-თქო. კარანტინის დროს 10 კაცზე მეტის შეკრება ხომ არ შეიძლებოდა და ჩვენ ვიყავით 60. ვისაც სჯერა, რომ ჩვენი მოკლულია, მაგათი დედას შ....ი“, – საუბრობენ ფარულ ჩანაწერში შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულები.

ანი გაბეჩავას ადვოკატი ლიკა ბითაძე მიზანმიმართულ ცილისწამებას უწოდებს ინფორმაციას, რომ გაბეჩავა საქმის ფიგურანტებისგან ჯარიმის თანხას ითხოვდა.

– სრული სისულელე და გამოგონილი ამბავია, ანი გაბეჩავას არავისთვის არანაირი 15.000 ლარი არ მოუთხოვია. თუ გაგრძელდება ეს ცილისწამება ჩვენც მივიღებთ შესაბამის ზომებს. ეს პირი კი ჯერჯერობით იდენტიფიცირებული არ არის, – განაცხადა ლიკა ბითაძემ.

გენერალური პროკურატურის განმარტებით, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ბრალდებულების საპატიმრო საკნებში ფარული საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში განუცხადეს, აღნიშნული მასალა ბრალდების მხარეს გადაეცა.

„გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულების საპატიმრო საკნებში განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლის შედეგადაც მოპოვებული ვიდეო-აუდიო ჩანაწერების მასალა, მტკიცებულების სახით ბრალდებულების სისხლის სამართლის საქმეს ერთვის. ზემოაღნიშნული მასალა, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ბრალდების მხარემ 2020 წლის 3 სექტემბერს გადასცა დაცვის მხარეს“, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში.

# „თამარ ბაჩალიაშვილმა გასახდომი ჩაიც იყიდა და ესეც თავის მოსაკლავად უნდოდა?!“



გარდაცვლილი პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების ვერსია, თვითმკვლელობა, გამოძიებას თავიდანვე ჰქონდა შემუშავებული, რადგან ეს ორგანიზებული იყო.

რამიშვილის თქმით, საგამოძიებო უწყებამ თამარ ბაჩალიაშვილის მიერ აბების ყიდვის ვიდეოჩანაწერები გამოაქვეყნა და აპელირება წამლებზე გააკეთა, მაგრამ ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ ის გასახდომ ჩაისაც ყიდულობს, რაც მას კითხვის ნიშნებს და ეჭვებს უჩენს გამოძიების მიმართ.

– გარდაცვალების საბოლოო ვერსია დასაწყისშივე ჰქონდათ, როდესაც 23 ივლისს გამოვიდნენ და თქვეს, რომ აბებია აღმოჩენილი, წერილია აღმოჩენილი და ფსიქოლოგი ჰყავდაო. ანუ ჯერ არ იყო დადგენილი, საერთოდ რა მიზეზით იყო გარდაცვლილი, მკვლელობა იყო ეს თუ თვითმკვლელობა, მაგრამ ვერსია უკვე თავიდანვე ჰქონდათ, რადგან ორგანიზებული იყო. როდესაც ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ და აბებზეა საუბარი, რატომ არ ავრცელებენ ინფორმაციას, რომ აბებთან ერთად გასახდომი ჩაიც შეიძინა თამარმა. აპელირებას აკეთებენ აბების ყიდვაზე და ძალიან გასაკვირია, ნუთუ არ უნდა დაუკვირდნენ, არ უნდა ჩასწვდნენ, რომ გასახდომ ჩაის ყიდულობს ეს გოგო.

მე კითხვის ნიშანი და ეჭვი მიჩნდება, რომ გადაადგილდებოდა და მიდიოდა მისთვის უცნობ ადგილას, როდესაც წაშლილია ყველანაირი ლოკაცია, ყველანაირი ზარი, ყველანაირი წერილი, სად უნდა წასულიყო, იქნება ვიღაცამ სთხოვა მაინც აქეთკენ მოდიხარ და რაღაც აბები მჭირდება და წამომიღეო. ადამიანი ყიდულობს გასახდომ ჩაის და თუ მართლა თვითმკვლელობას აპირებდა, რისთვის და ვისთვის ყიდულობდა ამ გასახდომ ჩაის, – განაცხადა რამიშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

# ფონიჭალაში ძმების მკვლელობის მცდელობისთვის 19 წლის ე.ა. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ე.ა. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ფონიჭალაში, მეზობლად მცხოვრებ ძმებს – 2001 წელს დაბადებულ ვ.გ.-ს და 2003 წელს დაბადებულ ფ.გ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილებს შესაბამისი სამედიცინო დახმარება სამკურნალო დაწესებულებაში გაეწიათ, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებათ.

სამართალდამცველებმა ე.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# „ნავში იჯდა და წყალში გადავარდა“

## სიონის ტბაში მამაკაცი დაიხრჩო

სიონის ტბაში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო.

მამაკაცი ნავზე იმყოფებოდა, როდესაც ის წყალში გადავარდა და დაიხრჩო.

„შემოვიდა ინფორმაცია, რომ სიონის ტბაზე ახალგაზრდა მამაკაცი ნავიდან ჩავარდა წყალში და გაუჩინარდა. ადგილზე გამოცხადდნენ მაშველები და მყვინთავთა ჯგუფი. ცხედარი წყლიდან უკვე ამოყვანილია“, – აცხადებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

# მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

4 სექტემბერს, დილით, მაშველებმა მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

თვითმხილველის ინფორმაციით, მამაკაცი რამდენიმე წუთის განმავლობაში მტკვარში ცურავდა, რის შემდეგაც ნაპირზე გამოსვლა ვეღარ მოახერხა.

# შატილიდან მაშველებმა მძიმედ დაზიანებული მამაკაცი ჩამოიყვანეს

მაშველებმა შატილიდან დაშავებული მამაკაცი სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ჩამოიყვანეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ 112-ში შევიდა ინფორმაცია, რომ დუშეთში, სოფელი შატილში, სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს მამაკაცმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

„ადგილობრივი ექიმის ინფორმაციით, დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე, საჭირო იყო პაციენტის სასწრაფოდ გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პაციენტის გადმოსაყვანად უმოკლეს დროში შატილის მიმართულებით გაფრინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, რომელშიც იმყოფებოდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლები და ექიმები.

პაციენტი გადაყვანილია თბილისში, ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში და ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო დახმარება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# შიდა ქართლის პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის კასპში 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გ.ბ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ბრალდებით კასპში დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 14 აბი ამოიღეს. ასევე, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში პოლიციამ 10 ძირი ნარკოტიკული მცენარე კანაფის ნერგი ამოიღო.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# კახეთის პოლიციამ მუქარის ბრალდებით იორმუღანლოში 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მუქარის ბრალდებით იორმუღანლოში 1 პირი, 1985 წელს დაბადებული შ.ი. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 3 სექტემბერს, ღამის საათებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, თანასოფლელს, 1979 წელს დაბადებულ ფ.მ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა შ.ი. დანაშაულის ჩადენის დღესვე კახეთში დააკავეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციის მიერ ჩატარდა გამოკითხვები, დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზები.

სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# ლაგოდეხის ნაკრძალში ლატვიელი ტურისტი გააუპატიურეს

## დააკავეს 30 წლის მამაკაცი

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე ადგილობრივმა 30 წლამდე მამაკაცმა ლატვიელი ტურისტი გააუპატიურა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მამაკაცი სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით წაუყენეს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

უწყების ცნობითვე, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

საერთაშორისო

# ბელარუსში ბოლო საპროტესტო აქციების დროს 91 ადამიანი დააკავეს

ბელარუსში შაბათს, 5 სექტემბერს გამართული არასანქცირებული საპროტესტო აქციების დროს ათობით ადამიანი დააკავეს.



შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ 5 სექტემბერს „მასობრივი ღონისძიებების შესახებ კანონის" დარღვევის გამო სულ 91 ადამიანი დააპატიმრეს. მათგან 34 ადამიანი სასამართლოში საქმის განხილვამდე დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს.

შსს-ს ინფორმაციით, საპროტესტო აქციები 18 დასახლებულ პუნქტში გაიმართა და დემონსტრანტების საერთო რიცხვმა დაახლოებით 4.000 შეადგინა. მინსკში არასანქცირებული ღონისძიება 8 სხვადასხვა ადგილას ჩატარდა.

ბელარუსში 9 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საპროტესტო აქციები არ წყდება. მომიტინგეები არჩევნების ოფიციალურ შედეგებს არ აღიარებენ, რომლის თანახმადაც, ალექსანდრე ლუკაშენკომ ხმების 80.1% მიიღო. ისინი ლუკაშენკოს გადადგომასა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

# სერბეთი და კოსოვო ურთიერთობის ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ

## ისტორიული შეხვედრა ვაშინგტონში

სერბეთი და კოსოვო ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზებაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში სერბეთისა და კოსოვოს ლიდერებთან შეხვედრისას განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტმა შეთანხმებას „დიდი მიღწევა" უწოდა.

თავის მხრივ, როგორც სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სერბეთსა და კოსოვოს შორის ჯერ კიდევ ბევრ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, ეს შეთანხმება წინ გადადგმული ნაბიჯია.

კოსოვოს პრემიერ-მინისტრ ავდულა ჰოტის განცხადებით, ეკონომიკური ურთიერთობის ნორმალიზების შეთანხმებამ შედეგად უნდა გამოიღოს ურთიერთაღიარება.

– სერბეთმა და კოსოვომ აიღეს ეკონომიკური ნორმალიზების ვალდებულება სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდაზე ფოკუსირებით. ორმა ქვეყანამ დიდ პროგრესს მიაღწია, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზების შეთანხმების მიღწევის შესახებ მხარეებმა სერბეთსა და კოსოვოს შორის დონალდ ტრამპის მრჩევლების მონაწილეობით ორდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადეს.

კოსოვომ დამოუკიდებლობა 2008 წელს გამოაცხადა. კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა ცნობს. მის დამოუკიდებლობას დღემდე არ აღიარებს ევროკავშირის ხუთი წევრი ქვეყანა, ასევე, რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა და საქართველო.

# დიდი ბრიტანეთი: „რუსეთმა ნავალნისთან დაკავშირებით სერიოზულ კითხვებს უნდა უპასუხოს"

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დომინიკ რააბის განცხადებით, რუსეთმა უნდა ახსნას, თუ როგორ მოიწამლა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი „ნოვიჩოკის" ჯგუფის ნერვული აგენტით.



– ამჟამად ცხადია ის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მთელ რიგ ძალიან სერიოზულ კითხვებს უნდა უპასუხოს, – განაცხადა დომინიკ რააბმა.

მისივე განმარტებით, რუსეთს, როგორც ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციის წევრს, მთელი რიგი ვალდებულებები აქვს, არ გამოიყენოს ქიმიური იარაღი.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ რუსი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი „ნოვიჩოკის" ჯგუფის ნერვული აგენტით არის მოწამლული.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეშფოთება არაერთი დასავლური ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გამოხატა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# საქართველომ ერთა ლიგა მოგებით დაიწყო

ესტონეთი-საქართველო 0:1

**ტალინი. ლე კოქ არენა**

0:1 კაჭარავა (32)

**ესტონეთი:** ჰაინი, ტენისტე, მეტსი, ტამი, ვასილევი (აინსალუ 86), იარველაიდი, ოიამა, ტუნიოვი (ლიივაკი 70), კრეიდა, კაიტი, ზენიოვი (ანიაკი (70)

**საქართველო:** ლორია, კაკაბაძე, კვირკველია, ხოჭოლავა, კვეკვესკირი, ჯიღაური, კანკავა, ოქრიაშვილი, ჩაკვეტაძე (ქვილითაია 78), კვარაცხელია (აბურჯანია 90), კაჭარავა (ლობჟანიძე 68)




გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. არც ჩვენ გვინდა გავასამართლოთ საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, რომელმაც ერთა ლიგის მორიგი გათამაშება ესტონეთში გამარჯვებით დაიწყო. თუმცა, თამაშის ხარისხით, გაცილებით უკეთესის მოლოდინში ვიყავით.

ვლადიმირ ვაისს გარკვეული პრობლემები ჰქონდა – სხვადასხვა მიზეზით რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა. 10 თვის წინ გამართული ბოლო მატჩიდან (ამხანაგური ხორვატიასთან) სასტარტოში მხოლოდ 3 ფეხბურთელი იდგა – კაკაბაძე, ხოჭოლავა და ჯიღაური. აქედან ჯიღაური მისთვის უცნობ პოზიციაზე – მარცხენა მცველად. კაკაბაძე ჩვეულად, მარჯვნივ ირჯებოდა, ხოლო ცენტრში ხოჭოლავას მეწყვილე კვირკველია იყო. ეს ოთხეული იდგა ლორიას წინ.

ნახევარდაცვა საინტერესო იყო: საყრდენებად კანკავა-კვეკვესკირი, მათ წინ ჩაკვეტაძე და ფლანგებზე ოქრიაშვილი და კვარაცხელია. ერთია, კვარაცხელია მარჯვნიდან უტევდა, როდესაც კლუბში მარცხენა ვინგერად ათამაშებენ.

ეული თავდამსხმელი კაჭარავა იყო, რომელმაც გაიტანა კიდეც ერთადერთი გოლი და საქართველოს ნაკრებმა ნავსი გატეხა – ესტონეთი მეოთხე მატჩში პირველად დავამარცხეთ მათსავე მოედანზე.

როგორც გითხარით, საქართველოს ნაკრებს იდეალური და უშეცდომო ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც მეტოქისთვის მიუცია განსაკუთრებული შანსი. სხვა თუ არაფერი, ესტონელებს კარის ჩარჩოში საერთოდ არ დაურტყამთ.

საქართველოს კი დაწინაურება დასაწყისშივე შეეძლო, ჩაკვეტაძემ მეკარე მოატყუა, მაგრამ კარში ვერ დაარტყა და პასი ოქრიაშვილს გაუკეთა, რომელსაც გოლის გატანა მართებდა, მაგრამ ბურთი მეკარის ნაცვლად კარის ხაზზე მყოფმა მცველმა გამოიტანა.

ჩვენების შეტევები ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან ვითარდებოდა, სადაც კვარაცხელია აქტიურობდა და სწორედ მის ჩაწოდებას მოჰყვა კაჭარავას გამარჯვების გოლი.

საქართველოს ნაკრებს მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები კიდევ ჰქონდა, მაგრამ ვერ მოახერხა შანსის სათანადოდ გამოყენება. ყველაზე ახლოს გოლთან ცვლილებაზე შესული საბა ლობჟანიძე იყო, თანაც ორჯერ, ჯერ ძელს მოარტყა ბურთი, მერე საჯარიმოს მისადგომებიდან მცირედით ააცილა. გოლთან ახლოს კვარაცხელიაც იყო, მაგრამ ერთი შეხებით ხელსაყრელ სიტუაციაში კარგად ვერ დაარტყა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 1:0 იმარჯვა, ისტორიაში პირველად მოიგო ტალინში და ერთა ლიგაზე დაუმარცხებელი სერია გააგრძელა (7 მატჩი, 6 მოგება, 1 ფრე). საქართველო მომდევნო შეხვედრას 8 სექტემბერს თბილისში ჩრდილოეთ მაკედონიასთან გამართავს.

ერთა ლიგის ც დივიზიონის ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. სკოპიეში ერთმანეთს ჩრდილოეთ მაკედონია და სომხეთი დაუპირისპირდნენ. მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით – 2:1 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი პენალტით გავიდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

საზოგადოება

# 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია მეოთხედ გაიცემა



12 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი" ეროვნულ პრემიას მეოთხედ გასცემს.

პროექტის „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია" ფარგლებში „საზოგადოების განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემიით" დაჯილდოების ცერემონია ჩატარდება.

ჯილდოს გასცემს ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი". ჯილდო ყოველწლიურად თითო ლაურეატს ენიჭება.

წლის ლაურეატს გამოავლენს ფონდის მიერ დაკომპლექტებული ჯილდოს გაცემაზე გადაწყვეტილების მიმღები სარეკომენდაციო საბჭო, 9-კაციანი შემადგენლობით: ივანე ამირხანაშვილი – ლიტერატორი, კრიტიკოსი, ბალათერ არაბული – პოეტი, კონსტანტინე გამსახურდია – დიპლომატი, პოლიტიკოსი, ნინო ზაუტაშვილი – ტელეწამყვანი, მედიამენეჯერი, გიორგი სავანელი – რეჟისორი, ნინო სადღობელაშვილი – პოეტი, დრამატურგი, ლია სტურუა – პოეტი, დიმიტრი შველიძე – ისტორიკოსი, დეკანოზი გიორგი წეროძე.

ჯილდოს ნომინალი ილია ჭავჭავაძის ბრინჯაოს სკულპტურაა, რომელიც სპეციალურად ფონდის ჯილდოსათვის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოქანდაკის გია ჯაფარიძის მიერ შეიქმნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

# დები ზღვაში უზარმაზარ მედუზას გადააწყდნენ



ირლანდიის ქალაქ კორკის მკვიდრი დები მეიოს საგრაფოს სანაპიროსთან კაიაკით ცურვის დროს უზარმაზარ ბეწვიან ციანეას გადააწყდნენ და ვიდეოზე გადაიღეს.

დები მეივ და იფა კონუეი ზაფხულის არდადეგების დროს რეგულარულად დადიან მეიოს საგრაფოს პლაჟზე. რამდენიმე დღის წინ ისინი ისევ ესტუმრნენ ამ რაიონს და ზღვაზე კაიაკით გაისეირნეს.

ცურვის დროს დები უზარმაზარ მედუზას გადააწყდნენ. მეივმა ზღვის არსება ვიდეოკამერაზე გადაიღო. როდესაც გოგონები სახლში დაბრუნდნენ, ისინი მიხვდნენ, რომ ეს ბეწვიანი ციანეა იყო, მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის მედუზების ჯიში.

– ჩვენ ბეწვიანი ციანეა შევნიშნეთ, თუმცა მანამდე ვერ მივხვდით, თუ რომელი სახეობის იყო, სანამ სახლში დაბრუნებულებმა ვიდეო ჩანაწერი არ ვნახეთ. ის უზარმაზარი იყო, ხოლო მისი საცეცები კიდევ უფრო უსაშველოდ გრძელი, – განაცხადა მეივმა.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობის მედუზას გუმბათი სიგანეში ორ მეტრამდე აღწევს, ხოლო საცეცების სიგრძე 20 მეტრს. თუმცა ასევე ცნობილია ეგზემპლარი, რომლის საცეცების სიგრძე 36,5 მეტრს აღწევდა.

# ძუ ლომმა ხუთ გეპარდს ნადავლი წაართვა



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნული პარკის დამთვალიერებელმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ წაართვა გეპარდების ოჯახს ძუ ლომმა მათ მიერ მონადირებული იმპალა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

32 წლის დენი ბესტერმა ოჯახთან ერთად დღე კრიუგერის ეროვნულ პარკში გაატარა და როდესაც პარკის შესასვლელისკენ ბრუნდებოდა, მკვდარი ანტილოპას გვერდით რამდენიმე გეპარდი შენიშნა.

– ჩვენ დავინახეთ გეპარდი, რომელიც გარბოდა, შემდეგ შევნიშნეთ მეორე, მესამე და მეოთხე. შევეცადე მანქანა ისე გამეჩერებინა, რათა რაც შეიძლება კარგად მედევნებინა თვალი ცხოველებისთვის და ამ დროს ჩემმა დამ ჟანეტმა დაიძახა: „ის პირდაპირ ჩვენ წინაა!" – იხსენებს ბესტერი.

– ჩვენ ისე ვიყავით გართული გეპარდებისთვის თვალის დევნებით, რომ ვერც კი შევნიშნეთ, თუ როგორ დაიჭირა და მოკლა მათმა დედამ იმპალა ჩვენი ავტომობილის მახლობლად. მან თავის ნაშიერებს უხმო. ძალიან გაგვიმართლა, რომ ამ ყოველივეს თვითმხილველები გავხდით, – განმარტა მან.

მოულოდნელად ძუ გეპარდის ქცევა შეიცვალა, ბესტერმა ირგვლივ მიმოიხედა ამ ცვლილების მიზეზის გასარკვევად და მოშორებით ძუ ლომი შენიშნა. ის სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა გეპარდებს. მის დანახვაზე მოზარდი გეპარდები იმპალას მოშორდნენ, ძუ გეპარდი კი უფრო მეტხანს შეყოვნდა ნანადირევთან. ბოლოს მანაც მიატოვა მოკლული ანტილოპა, მოშორებით ხეებს ამოეფარა და იქიდან ადევნებდა თვალს ლომის მიახლოვებას.

ლომმა იმპალას პირი დაავლო და იმ მიმართულებით წაათრია, რომელი მხრიდანაც მოვიდა. გეპარდი და მისი ნაშიერები უვნებლად გადარჩნენ.

# ცხოველთა დამცველებმა პრინც უილიამის წინააღმდეგ გაილაშქრეს



ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის აქტივისტებმა პრინც უილიამს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს იმის გამო, რომ სანადიროს წასულმა თავისი უფროსი შვილიც თან გაიყოლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შვიდი წლის პრინცი ჯორჯი თვალს ადევნებდა იმას თუ როგორ ესროდა მამამისი ჩიტებს შოტლანდიაში ოჯახური ნადირობის დროს.

როდესაც ბავშვი მკვლელობას ხედავს, რომელსაც ამასთან მისი მშობელი ჩადის, ამან შესაძლოა მისი ფსიქიკა დააზიანოს. ამან შესაძლოა ბავშვს ცხოველების მიმართ თანაგრძნობა დააკარგვინოს, რაც თავისთავად აღელვების საგანს წარმოადგენს, – აღნიშნეს აქტივისტებმა.

ცხოველთა დამცველებმა დაამატეს, რომ აუცილებელია ბავშვს ყველა ცოცხალი არსების პატივისცემა ასწავლონ, რათა შემდეგ ის „პასუხისმგებლიანი და თანამგრძნობი ლიდერი გაიზარდოს".

# მოსამართლე ხელქვეითთან სასამართლო დარბაზში სექსისთვის უმუშევარი დარჩა




ამერიკის კენტუკის შტატში მოსამართლეს არაერთხელ ჰქონდა სქესობრივი კავშირი თავის ხელქვეითთან პირდაპირ სასამართლო დარბაზში და ამის გამო ის სამსახურის გარეშე დარჩა.

დოუნ ჯენტრი კენტონის ოლქში ოჯახური საქმეების მოსამართლედ მუშაობდა. სასამართლო განხილვისას გაირკვა, რომ მან თანამშრომელი აიძულა სამსახური საკუთარი სურვილით დაეტოვებინა, მის ადგილზე კი სტივენ პენროუზი დაიქირავა. მასთან სექსით მოსამართლე სამუშაო საათებში იყო დაკავებული. ჯენტრი პენროუზს სამსახურში დალევის და გიტარაზე დაკვრის უფლებას აძლევდა.

საქმის მასალების თანახმად, პენროუზი ჯენტრის საკუთარი სხეულის ეროტიკულ ფოტოსურათებს უგზავნიდა, უხამსად ხუმრობდა, მასაჟს უკეთებდა და სექსზე ითანხმებდა. ეს ყოველივე სასამართლოს შენობაში სამუშაო საათებში ხდებოდა. 31 აგვისტოს მოსამართლე სამსახურიდან გაათავისუფლეს.

# შეცდომამ ქალს სიმდიდრე მოუტანა



ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჯერმანთაუნის მცხოვრებმა ქალმა შეცდომით ფული ვირტუალური დოლის ერთ გარბენზე დადო და საკუთარი პრიზი გაზარდა.

41 წლის ქალმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა აზარტულ თამაშში მიეღო მონაწილეობა და მას ბედმა გაუღიმა.

– მე ცოტა გამიმართლა, რამდენიმე ასეული დოლარი მოვიგე. მაშინ გადავწყვიტე, რომ მამაჩემის იღბლიანი რიცხვებით უნდა მესარგებლა და ისინი უკიდურესად სარისკო ფსონზე გამომეცადა, – განაცხადა ამერიკელმა.

ქალმა გადაწყვიტა რიცხვები ხუთი გარბენის სერიაზე გამოეყენებინა, მაგრამ ბილეთის ყიდვის დროს შეეშალა და ხუთი დოლარი ერთ გარბენზე დადო.

გარდა ამისა, მან კიდევ ერთი ხუთდოლარიანი ფსონი გააკეთა, რომელთაგან ერთი მოგებულ გარბენზე აღმოჩნდა.

ერთი დოლარის ფსონმა ქალს 17,2 ათასი დოლარის მოგება მოუტანა, ხოლო ხუთდოლარიანმა ფსონმა 86 ათასი დოლარი მოაგებინა. საერთო ჯამში ამერიკელის მოგებამ 103,2 ათასი დოლარი შეადგინა.

გამარჯვებულის თქმით, მოგებული ფულის დიდ ნაწილს საკუთარ თავს და შვილებს მოახმარს, ხოლო დანარჩენ თანხას ქველმოქმედებისთვის გაიღებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რაკიტიჩი ბაიერნს ემუქრება



ბარსელონიდან სევილიაში გადასული ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი უეფას სუპერთასის ეგიდით გასამართ შეხვედრას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, ზემოთ ნახსენებ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ევროპის ლიგის გამარჯვებული სევილია და უეფას ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი – მიუნხენის ბაიერნი.

**ივან რაკიტიჩი:**

– სევილიის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება არ გამჭირვებია. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ძალიან მიყვარს ეს კლუბი, ეს ქალაქი, აქ მცხოვრები ადამიანები... როდესაც ორივე მხარემ შესაბამისი დაინტერესება გამოიჩინა, ტრანსფერიც სამართლიანად შედგა. ვფიქრობ, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. მომავალში დიდებული საქმეები გველის. რა თქმა უნდა, ბაიერნს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ უეფას სუპერთასისთვის ბრძოლა მისთვის ძალიან რთული იქნება. ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადებით. გვსურს, ყველას დავუმტკიცოთ, რომ ბრწყინვალე გუნდი ვართ. სევილიასთან ერთად გამარჯვებების მიღწევა მწადია.

ივან რაკიტიჩი სევილიის შემადგენლობაში სულ რამდენიმე დღის წინ გადავიდა. ხორვატმა ნახევარმცველმა კლუბთან 4-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

## ახალგაზრდული ნაკრების მარცხი

**საქართველო-საფრანგეთი 0:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ბერიაშვილი (27სკ), 0:2 ედუარი (90პ)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, ბერიაშვილი (ქაფიანიძე 76), ასათიანი, აზაროვი, ანდრონიკაშვილი, არდაზიშვილი (გულიაშვილი 62), სამურკასოვი, კუცია (კუხიანიძე 87), დარცმელია, ტაბატაძე, სპანდერაშვილი (ბულრიძე 76)

**საფრანგეთი:** ლაფონტი, დაგბა, კამარა, კუნდე, რეინე-ადელაიდე (დინაედიმბე 26), მაუსა (ბარდი 79), გენდუზი, კექლერე, ნორდინი (სომარი 72), დიაბი (ედუარი 72), გუირი (ბეუმო 72)

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი მატჩი ჩაატარა და გორში ფრანგ თანატოლებს უმასპინძლა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, სტუმართა რიგებში არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ირჯებოდა, ხოლო ვასილ მაისურაძის გუნდმა შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა.

ქართველმა ფეხბურთელებმა იბრძოლეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო და საფრანგეთმა მთლიანობაში დამაჯერებლად მოიგო.

38-ე წუთამდე მეტოქეს გავუძალიანდით და ახლოს ვიყავით, რომ ტაიმი ნულოვანი ფრით დასრულებულიყო, მაგრამ არ გაგვიმართლა და ბერიაშვილის ავტოგოლით სტუმრები



დაწინაურდნენ. მეორე გოლი საფრანგეთმა 90-ე წუთზე პენალტით გაიტანა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა – 0:2.

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებს 6 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-3-5 ადგილებს იყოფს სლოვაკეთთან და აზერბაიჯანთან ერთად. მომდევნო მატჩს ვასილ მაისურაძის გუნდი 8 სექტემბერს, სტუმრად ლიხტენშტეინთან გამართავს.

**ვასილ მაისურაძე:**

– უმაღლესი დონის მოწინააღმდეგეს დავუპირისპირდით, რთული მატჩი გამოდგა, თუმცა ვთვლი, რომ ღირსეულად ვითამაშეთ. ლიხტენშტაინში სხვა თამაშს ველოდებით, მოედანზე სხვა განწყობით გავალთ. შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები სასტარტო შემადგენლობაშიც მოხდეს. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ კარგი თამაში ვაჩვენოთ და 3 ქულა ავიღოთ.

## ლეო მესი: „ბარსელონისადმი ჩემი სიყვარული არასდროს შეიცვლება"

მესი ბარსელონაში რჩება. როგორც თავად მსოფლიოს 6-გზის საუკეთესო ფეხბურთელი ამბობს, ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი შვილების თავგადაკლული ტირილი იყო, როდესაც მან ოჯახს სხვაგან გადასვლის სურვილი გაანდო.

მოგეხსენებათ, არგენტინელმა აგვისტოში ბარსას ოფისს წასვლის შესახებ ოფიციალურად მიმართა. 33 წლის ფეხბურთელის ეს გადაწყვეტილება ოჯახისთვისაც მძიმე მისაღები აღმოჩნდა, თუმცა არც კლუბმა დათმო, იურიდიულ დავაში ძლიერი კოზირი დაიკავა და ზაფხულის ქარიშხლიანი სატრანსფერო ისტორიაც ჩაცხრა.

ახლა მესი არ მალავს, რომ „კამპ ნოუზე" სურვილის საწინააღმდეგოდ დატოვეს და დასძენს, რომ ერთ წელიწადში თავისუფალი აგენტი გახდება.

თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდას ჰყავს მეუღლე ანტონელა როკუსო და 3 ვაჟი – 2 წლის ჩირო, 4-ის მატეო და 7-ის ტიაგო. ვარსკვლავმა არ დამალა, თუ რამხელა დარტყმა აღმოჩნდა მათთვის მისი გადაწყვეტილება. ოჯახს კატალონიის დედაქალაქიდან წასვლა არ უნდოდა.

მედიასთან ინტერვიუში ლეო მესიმ გულწრფელად ილაპარაკა:

– როდესაც წასვლის სურვილი ცოლსა და შვილებს გავანდე, სასტიკი დრამის მიზეზი აღმოვჩნდი. მთელმა ოჯახმა ტირილი დაიწყო. ბავშვებს არ უნდოდათ ქალაქისა და სკოლის გამოცვლა. მაგრამ მე წინ ვიყურები. მინდა, წარმატებული კარიერა განვაგრძო და ტიტულები, მათ რიცხვში ჩემპიონთა ლიგა, კვლავაც მოვიგო. ლიგის მოგება ძნელია. შეიძლება, გაიმარჯვო, შეიძლება, ვერც გაიმარჯვო, მაგრამ უნდა იბრძოლო. მატეო ჯერ პატარაა. მას კარგად არ ესმის, რას ნიშნავს, სხვა ადგილას გადასახლდე და რამდენიმე წელიწადი ახალ გარემოში იცხოვრო. ტიაგო კი უფროსია და, როდესაც ტელევიზორში ჩემ შესახებ რაღაცას ყური მოჰკრა, კითხვები გაუჩნდა. მე კი არ მინდოდა, მას იძულებითი გადასახლების სიმწარე ეგრძნო, ახალ სკოლაში ახალი ამხანაგების ძებნა დაეწყო. ტიაგომ ტირილი დაიწყო, მე კი ვუთხარი – კარგი, ნუ წავალთ. მერწმუნეთ, ეს მართლა ძნელი იყო. ჩემთვის ჩემი შვილის მდგომარეობა გასაგებია. ბავშვობაში გადასახლება საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია.

მე ბარსელონა მიყვარს და უკეთესი ქალაქის ძებნას არ ვაპირებ. და მაინც, არჩევანის სრული უფლება მაქვს. მინდოდა, ახალი მიზნები დამესახა, ახალ გამოწვევებს შევჭიდებოდი, თუმცა ხვალ ისევ ძველ ადგილას მივალ, რადგან ბარსელონაში მე ყველაფერი მაქვს: ჩემი შვილები იქ დაიბადნენ. ისინი ბარსელონელები არიან. თუმცა წასვლაშიც არაფერი იქნებოდა ცუდი. ეს მე მჭირდებოდა. ეს კლუბსაც სჭირდებოდა. დამიჯერეთ, ეს ყველასთვის კარგი იქნებოდა.



მოგეხსენებათ, ბარსელონამ მესის გამოსასყიდ თანხად 700 მილიონი ევრო გამოაცხადა. თუ მესი მაინც დაიჩემებდა, რომ მას სხვაგან გადასვლა უფასოდ ეკუთვნის, საქმე სასამართლოში უნდა გარჩეულიყო. არგენტინელს კი, მიუხედავად იმისა, რომ თავის სიმართლეში ეჭვი არ ეპარება და ღრმად სწამს, რომ სხვა კლუბში უკაპიკოდ გადასვლის სრული უფლება ჰქონდა, ბარსასთან სასამართლო დავა უკადრებელ საქმედ მიაჩნია.

– ტიტულების მოგება და ბარსელონის ლეგენდის გაგრძელება მინდოდა. კლუბის ხელმძღვანელობა, რომელსაც ბართომეუ მეთაურობს, კატასტროფაა. სპორტული პროექტი არ არსებობს. ისინი მხოლოდ ხვრელებს ავსებენ, რომლებიც პერიოდულად ჩნდება. ჩემპიონთა ლიგაზე, შესაძლოა, წააგო – ასეთები ხდება, მაგრამ სხვებისთვის კონკურენციის გაწევა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეძლო. ის, რაც რომში, ლივერპულსა და ლისაბონში მოხდა, ნორმალური არ არის. ბარსას დატოვების გადაწყვეტილებამდე ამ ყველაფერზე ფიქრის შედეგად მივედი. გუნდში თავს ბედნიერად აღარ ვგრძნობდი და წასვლა ამიტომაც მინდოდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ამის უფლება არ მომცეს. კარგი, დაე, იყოს ასე, დავრჩები. სასამართლოში დავა არ მინდა. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ წასვლის სრული უფლება მაქვს. პრეზიდენტს ბევრჯერ უთქვამს თავისი პირით, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ჩემი გადასაწყვეტი იქნებოდა, წავიდოდი თუ დავრჩებოდი. შემდეგ კი ჩაეჭიდნენ იმ ფაქტს, რომ მე წასვლის სურვილი 10 ივნისამდე არ გამოვხატე. არადა, 10 ივნისამდე ვერაფრით წავიდოდი, რადგან ამ საშინელი კორონავირუსის პანდემიის გამო ჩემპიონატი შუა გზაში იყო და ჩვენ ჯერ კიდევ ტიტულისთვის ვიბრძოდით. აი, ეს გახლავთ მიზეზი, თუ რატომ მიწევს ამ კლუბში დარჩენა.

პრეზიდენტმა მითხრა, რომ ჩემი წასვლის ერთადერთი გზა მყიდველი კლუბის მხრიდან 700 მილიონი ევროს გადახდა იქნებოდა, ეს კი გამორიცხული გახლდათ.

მთლიანობაში, ბევრი ადამიანის რეალური სახე დავინახე. ძალიან ბევრი მათგანი ყალბი აღმოჩნდა. გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების სიტყვები ძალიან მეტკინა. ისინი კლუბის მიმართ ჩემს ერთგულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ. ბარსელონისადმი ჩემი სიყვარული არასდროს შეიცვლება.

## რუსეთთან პირველ ნოემბერს ვითამაშებთ

რაგბი ევროპამ საბოლოოდ დაადგინა საქართველოსა და რუსეთის სარაგბო ნაკრებების მატჩის თარიღი – თბილისში 1 ნოემბერს, 15:00-ზე.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა 14 მარტს თბილისში უნდა გამართულიყო. რუსეთის ნაკრები უკვე საქართველოშიც კი იმყოფებოდა, მაგრამ ევროპული რაგბის მმართველმა ორგანომ მატჩი კორონავირუსის პანდემიის გამო გადადო.



ამ მატჩს სატურნირო მდგომარეობისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, „ბორჯღალოსნებმა" ტურნირის ჩემპიონობა უკვე გაინაღდეს.

უცნობია, დაშვებული იქნება თუ არა მაყურებელი ამ შეხვედრაზე.

იმავე დღეს, ერთი საათის შემდეგ დაიწყება რუმინეთისა და ბელგიის თამაში, ხოლო ესპანეთისა და პორტუგალიის დაპირისპირება 15 ნოემბერს შედგება.

## შედეგები

### 5 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ისლანდია-ინგლისი | 0:1 |
| დანია-ბელგია | 0:2 |
| პორტუგალია-ხორვატია | 4:1 |
| შვედეთი-საფრანგეთი | 0:1 |
| ჩრ.მაკედონია-სომხეთი | 2:1 |
| აზერბაიჯანი-ლუქსემბურგი | 1:2 |
| კვიპროსი-ჩერნოგორია | 0:2 |
| ესტონეთი-საქართველო | 0:1 |
| გიბრალტარი-სან მარინო | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| კარუზო-რუბლიოვი | 0:6,4:6,0:6 |
| ვოლფი-მედვედევი | 3:6,3:6,2:6 |
| ბ.აგუტი-პოსპიშილი | 5:7,6:2,6:4,3:6,2:6 |
| დემინაური-ხაჩანოვი | 6:4,0:6,4:6,6:3,6:1 |
| ბერეტინი-რუდი | 6:4,6:4,6:2 |
| ოჟე ალისიმი-მუტე | 6:1,6:0,6:4 |
| ფუჩოვიჩი-ტიაფო | 2:6,3:6,2:6 |
| ჩილიჩი-ტიმი | 2:6,2:6,6:3,3:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| საკარი-ანისიმოვა | 6:3,6:1 |
| მუხოვა-კირსტეა | 6:3,2:6,7:6 |
| მერტენსი-მაკნელი | 7:5,6:1 |
| სტივენსი-უილიამსი | 6:2,2:6,2:6 |
| ვეკიჩი-პირონკოვა | 4:6,1:6 |
| აზარენკა-სვიატეკი | 6:4,6:2 |
| კიზი-კორნე | 6:7,2:3 |
| ჟაბერი-კენინი | 6:7,3:6 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ალექსანდრე ქართველიშვილის გახსენება



საქართველოს სამთო საზოგადოებას გამოაკლდა თვალსაჩინო მამულიშვილი, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ალექსანდრე ქართველიშვილი.

ალექსანდრე ქართველიშვილი დაიბადა 1939 წლის 26 ოქტომბერს თბილისში.

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, ხოლო 1971 წელს – ასპირანტურა.

1962 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საბაგირო გზების ლაბორატორიაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაიარა ყველა საფეხური, ინჟინრიდან მეცნიერ თანამშრომლამდე. 1991 წლიდან იგი სამეცნიერო თემატური ჯგუფის უფროსია, ხოლო 2002 წლიდან – სექტორის გამგე. 1989-2002 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

პარალელურად მისი მოღვაწეობა ვითარდებოდა საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის განხრით, 1980-88 წლებში ხელმძღვანელობდა საპატენტო-სალიცენზიო განყოფილებას.

გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, არის 14 გამოგონების ავტორი.

ბატონი ალექსანდრე, საბაგირო გზებში აქტიურ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, მნიშვნელოვან პრაქტიკულ საექსპერტო საქმიანობას ეწეოდა ფოლადის ბაგირების უსაფრთხო ექსპლუატაციის მიმართულებით. მის მიერ 1970-2015 წლებში შესრულებულია მრავალი ათეული საბაგირო გზის ექსპერტიზა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ალექსანდრე ქართველიშვილი გამოირჩეოდა საქმისადმი სერიოზული და პასუხისმგებლიანი მიდგომით. მის მიერ ინსტიტუტში დანერგილ და გამოყენებულ იქნა ფოლადის ბაგირების მაგნიტური ურღვევი კონტროლის მეთოდი. იგი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად ზრუნავდა აღნიშნული მიმართულების განვითარებაზე საქართველოში.

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი დიდად აფასებს ალექსანდრე ქართველიშვილის მოღვაწეობას, მის საქმიან და ერთგულ დამოკიდებულებას კოლეგებთან, კეთილგანწყობილ და მეგობრულ ურთიერთობებს ახალგაზრდა თაობასთან. მან ღირსეულად მოიპოვა მაღალი ავტორიტეტი საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებაში.

ალექსანდრე ქართველიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველი სამთოელების, საბაგირო გზების სპეციალისტების, კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტროპიკული ხილი; 5. წალკის ძველი სახელწოდება; 10. პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებებისგან შექმნილი მელოდია; 11. თავადის ტიტული ინდოეთში; 12. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 13. საიზოლაციო მასალების წარმოებაში გამოყენებული თეთრი ბოჭკოვანი მინერალი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 17. სამახსოვრო საჩუქარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 23. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

**თარაზულად:** 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმთა მთვარის კალენდარი; 20. ორგანიზაციის შიკრიკი; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 25. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 26. რაიონული ცენტრი შიდა ქართლში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პუმა; 2. ელესა; 3. გრიგი; 5. სოკერი; 6. ლაშარელა; 9. ტროპოსფერო; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. სიტე.

**თარაზულად:** 1. პლზენია; 4. მისტრალი; 7. ფეტიში; 8. გეიზერი; 12. ლორია; 13. ილუზია; 15. ათლეტი; 17. უფა; 19. ბურგომისტრი; 20. სოტბი; 21. მერანო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მავრები; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. დიბალა; 11. მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. პარმიტანო; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ამური; 23. ატენი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. რიგოლეტო; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. განჯა; 20. ჩონგური; 22. ქიაჩელი; 24. იმნაძე; 25. ხაჭაპური; 26. ვინილი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0804

ევრო — 3.6487

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0902

100 რუსული რუბლი — 4.1035

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისათვის




## ბარსელონა დეპაისა და ვეინალდუმის ტრანსფერებთან ახლოს არის



ბარსელონა ორი ჰოლანდიელის, მემფის დეპაისა და ჟორჟინიო ვეინალდუმის ყიდვას აპირებს და კატალონიური გუნდი ახლოს არის ამ ტრანსფერების დასრულებასთან.

ბარსელონა, ჯამში, 55 მილიონს გადაიხდის ამ ორ ტრანსფერში და კუმანისთვის ეს პირველი სერიოზული შენაძენი იქნება.

ორივე ფეხბურთელს თავის გუნდთან კონტრაქტი ეწურება და ამის გამო მათი სატრანსფერო ფასი შედარებით დაწეულია.

## ხვიჩა კვარაცხელია რუბინის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა



ხვიჩა კვარაცხელია რუბინმა აგვისტოს თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. აგვისტოში ხვიჩამ 1 გოლის გატანა და ექვსი საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო. ზოგადად, კვარაცხელია რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

რუსეთის მედიაში ხშირად იწერება, რომ ხვიჩა უკეთეს გუნდს იმსახურებს და ის ყაზანის რუბინში დიდხანს არ გაჩერდება. კვარაცხელიას მთავარი პლუსი მისი სისწრაფე და დრიბლინგია.

## ჯორდან ჰენდერსონი: „ლივერპული მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებს“



ლივერპულის კაპიტანმა ჯორდან ჰენდერსონმა თავის გუნდსა და ახალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპული ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს და მათთვის სხვა მიზანი არ არსებობს:

— სეზონი იწყება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი სირთულეებისთვის, რადგან წინ ბევრი მატჩია, სადაც მოგვიწევს ჩვენი ძალის დამტკიცება. ლივერპული ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

•••

კაცი ქალს ეუბნება:

— მოდი, მეგობრებად დავრჩეთ...

— არა, ძვირფასო, უკვე გახდილი ვარ...

•••

დედა სკოლიდან დაბრუნებულ შვილს ეკითხება:

— კი მაგრამ, შვილო, ეს ხომ ის ნიღაბი არ არის, რომლითაც სკოლაში გაგიშვი?

— რა თქმა უნდა, ის არ არის! ეს უფრო მაგარია!

— კი მაგრამ, საიდან?

— ჩემი ნაზის გავუცვალე, მან კი — ნიკას!

•••

რესტორანში მამაკაცი ოფიციანტს შეკვეთას აძლევს:

— ასი გრამი არაყი, ერთი ბოკალი ღვინო, ჭიქა კონიაკი, ბოკალი შამპანური, კათხა ლუდი და ჩაი. მხოლოდ ჩაი მაგარი არ იყოს, სუსტი გული მაქვს.

•••

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

— მზად ხართ, ალკოჰოლზე ტესტი გაიაროთ?

— პრობლემა არ არის, რომელ სასმელზე გჭირდებათ ტესტი?

•••

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

— ბებო, სად არის ჩემი ანდროიდი?

— ანტრესოლზე, შვილო.

— ბებო, ანტრესოლი რა არის?

— და ანდროიდი რა არის?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— თუ კიდევ გამაბრაზებ, წავალ კურსებზე „როგორ გავხდეთ ალქაჯი“...

— პედაგოგად?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლელა წურწუმიამ ბათუმში კონცერტები შეწყვიტა



მომღერალმა ლელა წურწუმიამ ბათუმში კონცერტების ჩატარება შეწყვიტა. ამის მიზეზი სახელმწიფოს მიერ რამდენიმე კლუბის დახურვა და 10.000 ლარით დაჯარიმება გახდა.

ინფორმაცია მომღერლის მეუღლემ და პროდიუსერმა მამულიჩამ გაავრცელა:

— სამწუხაროდ, სეზონის დამთავრება ნაადრევად მოგვიწია, მაგრამ მაინც დიდი მადლობა ბათუმს, მადლობა ყველას, ვინც კლუბ სოჰოში დაესწარით ლელას, მაკას, ნინისა და ნონსტოპის კონცერტებს.

## ხატია წერეთელი ანორექსიას ებრძვის



მომღერალი ხატია წერეთელი, რომელიც თავისი ახალი სიმღერებითა თუ ვიდეორგოლებით მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, ანორექსიას ებრძვის.

ამის შესახებ ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა და არც ის დაუმალავს, რომ წონას ყოველდღიურად კარგავს:

— დიახ, ეს ის დაავადებაა, რომელიც მაწუხებს და მკლავს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ნებისმიერი სტრესის დროს ხდება დაავადების პროვოცირება, ყოველდღიურად ვკარგავ წონას, მიჭირს წონასწორობის დაცვა და მხედველობა მიქვეითდება. გიფიქრიათ, რამდენჯერ მიმაკაკუნებინეთ მიქელას?

## ნატო გელაშვილს ბათუმში კონცერტი გაუუქმეს



მომღერალ ნატო გელაშვილს ბათუმში დაგეგმილი კონცერტი გაუუქმეს.

ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

— ვინც აპირებდით ბათუმში კონცერტზე დასწრებას, სამწუხაროდ, კონცერტი მოიხსნა ახალი რეგულაციის გამო.

შევხვდებით თბილისში უახლოეს პერიოდში უახლესი პროგრამით.

## სალომე ქათამაძეს ფინანსური დახმარება სჭირდება



ახალი ქართული ხმისა და ახალი ტალღის 2013 წლის გამარჯვებულ ქართველ მომღერალ სალომე ქათამაძეს ფინანსური დახმარება სჭირდება.

სალომემ, რომელიც ამერიკაში საცხოვრებლად წლების წინ წავიდა, ინტერნეტში განაცხადა, რომ მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენი თანხისთვის თითოეული თეთრიც კი მისთვის უმნიშვნელოვანესია:

29 წლის მარტოხელა დედა მზად არის, თავისი პატარა ბიჭისთვის, გიორგისთვის და რიგით მსმენელების ბედნიერებისთვის ყველაფერი გააკეთოს:

— ყოველთვის მინდოდა, ტექნოს, ჰაუსისა და ელექტრონული მუსიკის სფეროში მეცადა ჩემი შესაძლებლობები. იმისთვის, რომ პირველი ნაბიჯები გადავდგა, რამდენიმე ინსტრუმენტის ყიდვა მჭირდება, რომელთა შეძენასაც საკუთარი სახსრებით ვერ ვახერხებ. თუკი დამეხმარებით პირველი ნაბიჯების გადადგმაში, თქვენი მცირედი წვლილიც არასდროს დამავიწყდება, — განაცხადა სალომე ქათამაძემ.

## შადრევანში ნაპოვნ ზარდახშაში ქალაქის მერის გული აღმოჩნდა



ბელგიის ქალაქ ვერვიეში შადრევნის საშემკეთებლო სამუშაოების დროს მუშებმა აღმოაჩინეს ზარდახშა, რომელშიც ქალაქის პირველი მერის გული იყო შენახული.

მომცრო თუთიის კოლოფი შადრევნის ერთ-ერთ ქვის კონსტრუქციაში იყო დამალული. მასში აღმოჩნდა სპირტიანი ქილა, რომელშიც მერის, პიერ დავიდის გული იყო ჩადებული.

ზარდახშაზე ამოტვიფრული წარწერის თანახმად, შადრევანში მერის გული 1883 წელს მოათავსეს. პიერ დავიდი ჯერ კიდევ 1839 წელს გარდაიცვალა, თუმცა მადლიერმა თანამოქალაქეებმა მისი გულის დაკონსერვება გადაწყვიტეს და მოგვიანებით მისი სახელის უკვდავყოფა ასეთი ხერხით გადაწყვიტეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თრუსოს ხეობის აღდგენა-რეაბილიტაციას ფესტივალი მიეძღვნება




თრუსოს ხეობის ისტორიული ნასოფლარებისა და საცხოვრებელი კომპლექსების აღდგენა-რეაბილიტაციის იდეას ეთნოფესტივალი „თრუსო“ მიეძღვნება.

ფესტივალი 13 სექტემბერს ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში, ულამაზეს ციხე-სოფელ ზაქაგორში ჩატარდება.

თრუსოს ხეობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ხეობა წარმოადგენს ისტორიული და ბუნების ძეგლების ერთობლიობას. აქ შემორჩენილ ისტორიულ ნასოფლართან ერთად, შემონახა გვიანი შუა საუკუნეების ტიპური მთის საცხოვრებელი კომპლექსების ნიმუშები: სათავდაცვო და საცხოვრებელი კოშკები, ციხე-სახლები, სამეურნეო ნაგებობები. მნიშვნელოვნად შემორჩა საკულტო ნაგებობები — ეკლესიები, ე.წ. ნიშები, ქვა-ჯვრები, საფლავის ქვები, აკლდამები და სხვა. ხეობების უმეტეს სოფლებში შემონახულია კრიპტოგრამები,-ქვაზე არსებული ნახატები. დღეისათვის ეს ხეობა დაცლილია და გაუკაცრიელებული, თუმცა მის მიმართ არსებობს დიდი ინტერესი მეცნიერების თუ სიძველის მოყვარულთა მხრიდან აგრეთე, დიდი ტურისტული ინტერესი ვიზიტორთა მხრიდან.

ერთდღიანი ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება ტრადიციული დოღი, სპორტული შეჯიბრებები, მატყლის დაჩეჩის, დართვისა და ქსოვის მასტერკლასი, ხატვის მასტერკლასი, ხინკლის მასტერკლასი, ტრადიციული კერძების მომზადება, ისტორიკოსების, ეთნოლოგების, არქიტექტორ-რესტავრატორების მიერ თრუსოს ხეობის ისტორიულ-კულტურული ასპექტების წარმოჩენა, პოეტების, მწერლების გამოსვლა, თრუსოს კულტურის ძეგლების ამსახველი საარქივო ფოტოების გამოფენა, ადგილობრივ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, თრუსოს ხეობის კულტურის ძეგლების შესახებ მომზადებული გზამკვლევის წარდგინება, თრუსოს ხეობის განვითარების აღდგენა-რეაბილიტაციის პერსპექტივა „იდეების გაცნობა“. ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება რიტუალი-ტრადიციული „მოხეური ქორწილი“. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქალთა ანსამბლი „დიდება?“, ვაჟთა ანსამბლი „ერობა“, ბავშვთა ანსამბლი „კარიბჭე“.

ღონისძიება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების სრული დაცვით გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 7 სექტემბრისათვის



**ვერძი** — სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** — სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** — ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** — გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** — შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **მორიელი** — მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** — ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** — სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** — პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** — მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 12. ბულგარელი ნათელმხილველი ქალი; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

